№ 1

1895

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალის „ჯეჯილი“-სა

I პატარა შალვა—ლექსი შიო მდივმელდისა . . . . . .
II საახალწლო სურათები—ელიკოსი 5
III ჩემი თხა—ალაკისა 10
IV საშობაო საჩუქარი—ფრანგულიდან—ან თ-წ-სა . . . 12
V ახალი წელიწადი ლექსი—თ. კანდელაკისა 20
VI ერთი ჭირი მარგებელია, ამბავი ეკ. გაბაშვილისა . . . 22
VII ზამთარი ლექსი—დ. ნინოწმინდელისა 32
VIII ზაფხულის სიზმრები—კაკა-ფშაველასი 33
IX იესო ქრისტე და გლახაკი (ზასოდიმსკისა) თარგ.—ალ. ბარნოვისა 36
X ინდოელების საჩუქარი შობას—ფრანგულ.—ან. თ-წ-სა . 40
XI ბაყაყი, ლექსი—დუტუ მეგრელისა 46
XII ქირაფი ნათარგ.—ენუქიძისა 48
XIII პირველი ცნობები ბუნებაზე (პოლ-ბერიდან)—ილიკოსი. 51
XIV შობა ქრისტესი—გ. წერეთლისა 56
XV ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები, ანაგრამმა, აკროსტიხი, შარადა და რებუსი, ... 60

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

345/3
1895

უმაწვილთ ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწკანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!...

ი. დ.

№ I

124

წელიწადი მეექვსე

ტფილისი

სტ-ბა მ. დ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41

1895.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 15 Декабря 1894 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ

ოდესაც დედა უფროს შვილს
გულ-მხურვალეთა ლოცავდა,
ტახტზე მისივე პატარა
ბოთლის გარშემო ცოცავდა.

—

დაებღაუჭა, აგორა,
იმდენ ხანს იფოთიალა,
რომ ბოლოს ფეხზე წამოდგა
და ბოთლიც აიტრიალა.

—

ხელს ალარ უშვებს, შეცინის,
ანჯღევს, აწვალებს ცქრიალა;
ბოთლს თავი მოძვრა, უეცრათ
იჭექა, დაიგრიალა.

—

ბოლი ავარდა, შუშხუნა,
წვალი ამოდის, ჩქრიალებს,
ძირს ვეღარ ჯდება პატარა,
შეშინებული ღრიალებს.

—

დედა ხარხარებს, ბავშებიც
სიცილით იხოცებიან:
„ფეხი აიდგა შალიკომ“
ერთმანეთს ეუბნებიან.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცინის შთელი ოჯახი,
ჭრიამულია ევირილი,
შალვა ფეხზე დგას, შორს ისმის
მისი უმანკო ტირილი.

უ. მღვიმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო სურათები

ოფლის გორაწმინდის პატარა სახლები აქა-იქ ლამაზ კორდზე ხეებსა და ბუჩქნარებს შუა არის გაფანტული. შვენიერი შესახედავია ეს სოფელი ზაფხულში, როცა მწვანე ფოთლებს შორის გამოჩანს სახლების წითელი კრამიტის სახურავი და თეთრი კედლები. არც ზამთარშია ცუდი შესახედავი: თეთრი თოვლით მოფენილი ის შვენიერ სურათს წარმოადგენს და კარგ შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე. მხოლოთ ერთი რამე არღვევს ამ შთაბეჭდილებას: მარჯვენით, ცოტა მოშორებით დგას მებატონის ოდა, რომელიც თავის სიმაღლით, პატარა ფანჯრებით და რიკულებიანი ბანით მიუწდომელ ციხეს მიემსგავსება. გარშემო მას არტყია მოზდილი ბაღი; ეტყობოდა, ეს ბაღი ერთ დროს კარგი სანახავი იქნებოდა, მაგრამ ახლა ყოველიფერი მიტოვებული იყო, არავინ არ უვლიდა, არავინ არ წმენდდა მას და ფართე გზები, იქით-აქეთ ხეებით შემოზღუდული, ბალახბულახით ავსებულიყო. მთელი დღე ვერავის დაინახავდით ვერც ოდის ფანჯარაში, ვერც ბაღში, მხოლოთ ბინდისას კიბეზე ჩამოვიდოდა შუა ხნის კაცი და რამოდენჯერმე წინ-და-უკან გაისეირნებდა დიდ ბაღში; მერე ისევ წყნარათ ავიდოდა ზევით და მეორე დღეს საღამომდის კარში არ გამოვიდოდა. ამ კაცის სახეზე მუდმივი ტანჯვა და ცხოვრებით უკმაყოფილება იხატებოდა; სოფლის მცხოვრებლებს ის ერთხელაც გაღიმებული არ უნახავთ მას აქეთ, რაც ცოლ-შვილი დაეხოცა, ყველას ეშინოდა მისი, ყველა ერიდებოდა მას, თუმცა ხმას არავის უმაღლებდა. თუ რომელიმე გამბედავი სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლის ბიჭუნა სეირნობის დროს ღობიდან შეუჭერეტდა, ის არას ეტყოდა, მაგრამ ერთს ისეთს შეუბღვერდა, რომ შეშინებული ბიჭი მოჰკურცხლავდა სახლისკენ და მერე ბაღთან ახლო გაელისაც კი ეშინოდა.

II

ახალი წელიწადია. პატარა სოფლის სახლები ყველა გაჩაღებულია; ყოველგან სიხარული, ყოველგან სიამოვნებაა...

აი, ერთ სახლში მამა ეს არის ქალაქიდან დაბრუნებულა, ტკბილი პურები, იაფი ფასის საჩუქრები და სათამაშოები მოუტანია შვილებისთვის. უფროსი, რვა წლის ვაჟი, აღტაცებაში მოუყვანია ახალ ლამაზ რუსულ ქუდს; მისი უნცროსი ძმა, რაც ძალი და ღონე აქვს, შაურიან საჭყვიტინოში სულს უბერავს და სიამოვნებით ხტის; პატარა ქალს პირი გაუტენია შაქარლამით და გაკვირვებით ისმენს ძმის სათამაშოს ჭყვიტინს...

მეორე სახლში ბუხართან დამჯდარა მოხუცი ბებია, გარშემო შემოსხდომიან პატარა შვილიშვილები და ისმენენ ზღაპრებს. ყველაზე პატარა ბავშს მიუკრავს გულზე თიხის მამალი და ტკბილათ ჩაძინებია.

მხოლოთ ბატონის სახლში ბნელა. მარტო ერთ კუთხეზე ოთახის ბუხარში ცეცხლი ანთია და მის წინ ზის თითონ ბატონი; მისი სახე ისევ დაღვრემილია; იმას რა, რომ დღეს ახალი წელიწადია? შეიძლება, მან არც კი იცის ეს? ან კი ვინ ეტყოდა? სოფლელები დიდი ხანია აღარ მიდიან მისალოცათ, ერთად-ერთი ბებერი მოსამსახურე დარჩენია და ისიც კი სიტყვის თქმას ვერ უბედავს თავის ბატონს.. . არა! ბატონმა იცის, რომ დღეს ახალი წელიწადია და მით უფრო უბედურათ გრძნობს თავის-თავს. იმაზ აგონდება უწინდელი ახალი წლები... „ღმერთო! ღმერთო! რა ბედნიერი ვიყავი მაშინ!“ ჰფიქრობს ბატონი და ცრემლები ღაპა-ღუპით მოდის თვალებიდან დამჭკნარ ლოყებზე—„რათ წამართვი, ღმერთო, ჩემი შვილები, ჩემი ცოლი, ჩემი საყვარელი ოჯახი? მერე ყველა ერთ კვირას, თითქმის ერთ დღეს! ნუ თუ ყელჭირება უთუოთ ჩემ შვილებს უნდა დამართნოდა, უთუოთ ორივე მოეკლა და დედაც თან გაეყოლებინა? რაღათ დავრჩი მე მარტო, უნუგეშო, უიმედო?“ ბატონმა თავი კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ უფრო ძირს ჩაღუნა და ფიქრებმა წარიტაცა... ის იგონებდა უწინდელ ცხოვრებას, თავის საყვარელ შვილებს, ცოლს... იგონებდა, როგორ გაუტარებია ახალი წელი მაშინ, როდესაც ცოცხლები იყვენ ყველა...

— მამა! მამა! ის დიდი ანგელოზი ხომ უსათუოთ ჩემი იქნება?—ესმის მას თავის ვაჟის ხმა და ახსენდება გაბრწყინვებული ნაძვის ხე და მის კენწეროზე დიდი შაქრის ანგელოზი.

— არა! ჩემი უნდა იყოს!—აწყვეტინებს სიტყვას ძმას პატარა ქალი.

სად წავიდა ის დრო, ის ნაძვის ხე, ის შაქრის ანგელოზი?..

— ღმერთო! მუდამ მარტო, მუდამ... რათ მინდა ამისთანა სიცოცხლე, რათ მინდა ჩემი სიმდიდრე, რათ მინდა ქონება? შვილებო! შვილებო! წამოიყვირა მან და სიმწარით თმაში ხელი იტაცა.

ამ დროს კრძალვით შემოვიდა მოხუცი მოსამსახურე და წყნარათ უთხრა:

— ბატონო! ჩვენ სახლის კიბეზე პატარა ქალი ზის და ძინავს. საწყალი მთლათ გაყინულა. კარგი იქნება ოთახში შემოვიყვანო და გავათბო.

— ჩემთვის სულ ერთია! ცივათ უპასუხა ბატონმა.

რამდენსამე წუთს შემდეგ მსახურმა შემოიყვანა ხელში აყვანილი პატარა ქალი, რომელიც სილამაზით ანგელოზს მოგაგონებდათ. შვენიერი ოქროს ფერი ხუჭუჭი თმა მხრებზე გადაშლოდა, პატარა ტუჩები სიცივისგან გალურჯებოდა, თვალები დახუჭული ჰქონდა. ყმაწვილი სამი წლისა იქნებოდა.

მსახურმა ბავშს ცეცხლის წინ ხალიჩა გაუშალა და ზედ დააწვინა, თითონ კი სისწრაფით ერთი ჭიქა რძე მოარბენინა და როცა ბავში გამოფხიზლდა —მთლათ დაალევინა. ბავში მოსულიერდა, ლოყები აუწითლდა, თვალები გაუბრწყინდა... მან მიაყრდნო თავი იქავ მდგომარე საავარძელს და ტკბილათ ჩაეძინა.

რამოდენიმე ხანი სიჩუმე იყო. ბოლოს მსახურმა გაბედა და ჰკითხა:

— რომ გაიღვიძებს, რა უნდა ვუყოთ?

— რაც გინდა ის უყავი, ჩემთვის სულ ერთია! ისევ ცივათ უპასუხა ბატონმა.

ამ დროს ბავშმა თვალები გაახილა და კრძალვით შეხედა მას. ეს რა არის? ეს ვისი თვალებია? ბატონს თვალწინ წარმოუდგა მისი პატარა ქალი ნუცა, რომელიც სწორეთ ამნაირივე თვალებით უყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა მამას, როცა სიკვდილი ეპარებოდა და შიშით ეუბნებოდა: მამა! ვიხჩობი, მიშველე, მამა, მიშველე!

— რა გქვია შენ?—აკანკალებული ხმით ჰკითხა ბატონმა ქალს.

— ნუცა.

— საიდან ხარ? ჰკითხა კიდევ უფრო აღელვებულმა ამ სახელის გაგონებაზე ბატონმა.

— ამ სოფლიდან... მე და დედა ვიყავით... დედა სულ იწვა, არ დგებოდა... დღეს კი მოვიდენ კაცები და ის, რაღაცა შავ ყუთში ჩადვეს... წაიღეს... და მე ოთახში დამტოვეს...

— მერე?

— მე წამოვედი... გამოვიქეცი დედის საძებნელათ... დავიღალე და ამ კიბეზე დავჯექი... მცივა, მშია... წამოიძახა ბავშმა და ტუჩები აუკანკალდა, ეტყობოდა ახლავე ტირილს აპირობდა.

— ეს ბავში ჩვენთან დარჩება! მიუბრუნდა ბატონი მსახურს და მსწრაფლათ გავიდა შეორე ოთახში.

III

გავიდა ერთი წელიწადი. ისევ ახალი წელია, ისევ მთელ სოფელში სიხარული და სიამოვნებაა, მაგრამ ახლა სულ სხვა გვარი: თითქმის არავინ სახლში არ არის, ყველა მოგროვილა ბატონის დარბაზში. შუაში დგას უშველებელი ნაძვის ხე, შვენიერათ მორთული სხვა-და-სხვა სათამაშოებით; მას ქვეშ დგას შვენიერი ოთხი წლის ქალი. ოქროს ფერი ხუჭუჭი თმა მხრებზე აყრია, ლურჯი თვალები სიამოვნებით შეცქერის გარშემო მდგომარე სოფლის პატარა ყმაწვილებს. მის გვერდში დგას შუა ხნის კაცი. ნუ თუ ეს ბატონია? სადღაა მისი დაღვრემილი შუბლი, მისი მუდამ შეჭმუხვნილი წარბები? ახლა მის სახეზედაც სიამოვნება იხატება და ის სიყვარულით დაცქერის პაშარა ნუცას.

— შენ რომელი გინდა? შენ?.. ჰკითხავს ნუცა თითოეულ სოფლის ბავშს. ნაჩვენებ საგანს ნაძვის ხიდან იღებს ბატონი და აძლევს პატარა ქალს. ის კი მხიარული სახით ასაჩუქრებს ბავშებს.

მოხუცი მსახური აქაც დგას და ღიმილით შეცქერის ბატონს და ნუცას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს დიდი შაქრის ანგელოზი კი მე მინდა! ამბობს ოქროს თმიანი ბავში და ხტის ხის გარშემო. ბატონი იღებს ანგელოზს, აძლევს ბავშს ხელში და სიყვარულით იკრავს მას გულში. ამ წამს

ის იგონებს თავის საყვარელ შვილებს, მაგრამ რაც ეს პატარა ქალი შემოვიდა მის სახლში, მწვავი გრძნობა დაუამდა. ისევ ხშირათ უდგება მას თვალ-წინ დაკარგული ოჯახი, მაგრამ ახლა მხოლოთ წყნარი მწუხარება-ღა დარჩენილა მის გულში.

ელიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი თხა

(სალხური)

ემო ლამაზო ბეკეკა,
შენ ჩემო თხაო, ბელაო!
ჩემი მტერი და ორგული
შენ გენაცვალოს ყველაო.

წვერი გაქვს დეკანოზისა
და რქები ეშმაკისაო;
კბილები ნამგლათ ნალესი,
ნეკერს კვრეხს, ბალახს მკისაო.

მთაში რომ წაკოკინდები,
დააგდებ მინდორ-ველსაო;
ჯიხვებს ეწვევი კლდეებში,
იქ მოიღერებ ყელსაო.

გაძღები, გასისინდები
ჯიქანს გაივსებ რძითაო!..
რა გზითაც დილას წასულხარ,
ბრუნდები იმავ გზითაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხვალ და საწველს ამივსებ
არ დამამადლი წველასო!..
მეძღვნეო ჩემი შვილების,
შენ მირჩევნიხარ ყველასო!

—

თვალის ჩინივით მოგივლი,
ნუ გეშინია მტერისო!..
მაგ ძუძუების ჭირიმე!..
საწველში ჩაიმღერისო!..

—

ბეკეკავ! ჩემო ბეკეკა!..
შენ ჩემო კარგო ბელაო!..
ჩემი ოჯახის ფრგები
შენ გენაცვალოს ყველაო!

ალაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშობაო საჩუქარი

(ფრანგულიდან)



ობის წინა ღამეა. თოვდა, ახლა გადიდო. საშინელი სიცივეა, დღეებიც მეტათ მოკლეა, მალე ღამდება.

მოხუცებული საბედა ზის თავის მუდმივ ადგილას, სასეირო ბაღის კარებში და შეცქერის კალთაში მჯდომარე თავის ჰატარა ექვსი წლის შვილიშვილს ალისას.

შიშობს საბედა: ახალი მორჩენილი ბავში ხელმეორეთ ავათ არ გაუხდეს. ეს ბავშიც რომ გამოეცალოს ხელიდან, როგორც გამოეცალა უდროოთ ამას ახალგაზდა ქალი, ბავშის დედა, მერე რაღა ეშველება?

საბედა მუდამ ვაჭრობდა ამ ბაღის კარებთან, ამას უდგა დიდი კალათა სავსე ტკბილეულობით: შაქრის ჰურებით, ეინგარი შაქრით, შაქარლამებით, ხმელი ხილით, დასატულ ქაღალდში გახვეული კონფეტებით. ამის შემოსავლით ცხოვრებდა საბედა, ცოტა ფული კიდეც უკუაგდო, მაგრამ ბავშის ავათმეოფობამ სულ დაახარჯვინა.

დიდი ხანია საბედა არ მოსულიეო სავაჭროთ ბავშის ავათმეოფობის გამო, ახლა დღესასწაულებში მოვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, თუ ახლაც ფულს არ მოიგებდა, ხომ შიმშილით მოკვდებოდა თითონაც და თავის შვილიშვილიც...

საბედას ვაჭრობიდან გამორჩენა უფრო ჰატარა ბავშებისაგან ჰქონდა, იმათ უყვარდათ კალათის გარშემო ტრიალი და ძალა-უნებურათ დედ-მამას აყიდვინებდენ ტკბილეულობას. შკოლის მოსწავლეებიც მოწეალების თვალით გადახედავდენ კალათას და არა ზოგავდენ საშობაოთ ნაჩუქ ფულებიდან უკანასკნელ გროშს.

ალისას ძინავს ტკბილათ შეხვეული ბებიის კალთაში. მაყალი გაჩაღებულია, ზედ ყავა დუღს, ზოგჯერ გამ-ვლელ-გამომვლელნი აქვე სვამენ.

შობის წინა ღამეს ყველას მოელის სიხარული, მაგრამ საბედა იმითიც კმაყოფილია, თუ ბავშს მიაწოდებს ან თბილ რძეს და ან ჭვენს.

ერთბაშათ ბავშმა გადიხსნა სახურავი, გამოჩნდა მისი წითლათ გამოკვერული ლოყები. დაალაქერა თავისი მაყვალივით შავი თვალები ბებიას და შეძახა:

— ბები, რა ტკბილათ მეძინა. მერე რა კაი სიზმარი მესიზმრა. შენც ხომ იცი, რომ დღეს შობის წინა ღამეა. ამ დღეს ვინც ჭკვიანები და დამჯერი უმაწვილები არიან, მოელიან ქრისტე ღმერთისაგან საჩუქარს, მხოლოთ ბუხრის წინ უნდა დადვან თავიანთი ფეხსაცმელები. მეც ხომ ჭკვიანი და დამჯერი ვიყავი, მაშ მეც მერგება ქრისტესაგან საჩუქარი. შენც, შენი ჭირიმე, ბებიაჯან, შენც უნდა დადვა ბუხარ წინ შენი ფეხ-საცმელები. სიზმარში მითხრა ქრისტე ღმერთმა, რომ ჩვენ დაგვასაჩუქრებს.

— განა ბებია უმაწვილია, რომ საჩუქრები მიიღოს? — უთხრა სიცილით ბებიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უსათუოთ შენც უნდა დადვა შენი ფეხ-საცმელები ბუხართან. აკი გითხარი, ქრისტე ღმერთი დამჰირდა, რომ ორივეს მოგვცემს საჩუქარს. დამიჯერე, მართალს ვამბობ. დაჰირებას არ გადუდგება. ნურც სიხმარი გგონია, ნამდვილათ ვნახე ქრისტე ღმერთი, ისე ტკბილათ მელაპარაკებოდა.

— ჩვენ ვინ მოგვცემს საჩუქრებს? თქვა ბუტბუტით საბედამ. საწყალი ბავში წამოჯარხლებულა, სიცხე თუ ალაპარაკებს, ეს ჯერ არ უნდა გამომეევანა გარეთ.

— მოდი, წავიდეთ ჩქარა სახლში, თქვა ბებიამ.

— წავიდეთ, წავიდეთ, ბებიაჯან, ჩურჩულით უთხრა ალისამ. შენი ფეხსაცმელებიც უნდა დადვა ბუხარწინ. ჩემიც.. და მიაყრდნო თავი ბებიას მხარზე.

საბედას შინ წასვლის დროც იყო. ქუჩები კიდეც ეველგან გაენათებინათ; თუმცა ბურუსისაგან სინათლე ძლივს-ძლივობით მოჩანდა.

საბედამ შეხვეული მძინარე ალისა მისვა, სადაც აქამდის თითონ იჯდა და დაუწყო თავის კალათაში სავაჭროს დალაგება, მერე დახურა წვიმის ქოლგა, აიღო მაეალი, ჭურჭელი და ეველაფერი მიაბარა ახლო დუქანში, სადაც ჩვეულებრივ უნახავდენ. ბოლოს საბედა მიუბრუნდა ბაკშს და დაუწყო ტკბილი ხმით გამოლვიძება, რომ შინ წაეევანა.

— აი, ქრისტე ღმერთი, არა გჯერა... ბუტბუტებდა ალისა... ხედავ საჩუქარს... რა კაი საჩუქარია და... სწორეთ ბედნიერი ვართ.

— ვაი ჩემ უბედურებას, სიცხე მიუცია ბავშისთვის და ის ალაპარაკებს. რა გაუფთხილებლობა იყო ჩემგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ასე მალე გამოვიყვანე სახლიდან, ამბობდა საბედა და თან მიჭეავდა ბავში შინ. — ვაი, თუ ქრისტეს საჩუქარი სა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

უბედურობა აგვიხდეს და ღმერთმა ამისი თავი წამართვას.

გაჯირებით და დიდი ვაი-ვაგლახით მიაწიეს სახლამდის.

— საბედავ, საბედავ, შენ ხომ არ გიწოდებენ ელი-საბედ მარტინეს, ამიენის ქვეუნიდან მოსულს? მიამახეს ერთხმათ ხუთმა-ექვსმა მეზობელ დედაკაცებმა, როდესაც საბედა შედიოდა თავის სადგომის ეზოში.

— მე ვარ, რა გნებავთ?

— ვიღაც ემაწვილი კაცი გკითხულობდათ, უთხრა სახლის პატრონმა.

— მე მკითხულობდა ემაწვილი კაცი? ჰკითხა გაკვირვებით საბედამ.

— დიახ, ბატონო, თქვენა გკითხულობდათ. და აი, ეს დაგიტოვათ და საბედას გაუწვდინეს ერთი დიდი პაკეტი.

საბედამ გაკვირვებით გადაატრიალა-გადმოატრიალა პაკეტი და თქვა:

— ნეტა, შიგ რა უნდა იყოს?

— მართლა და რა უნდა იყოს?—წამოიძახა სახლის პატრონმა.

— გახსენი, გახსენი, საბედავ, უთხრეს ერთ ხმათ მეზობლებმა.

— მერე...

— რა არი, კითხვა არ იცი? უთხრა სახლის პატრონმა.

— საიდან მეცოდინება, ჩემ დროს აგრე ადვილი არ იყო წერა-კითხვის შესწავლა.

— მე ხომ ვიცი, ბებიაჯან, თქვა ალისამ, რომელიც სიარულმა და ხმაურობამ სრულებით გამოაფხიზლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალია, შენ წაიკითხავ.

— აბა, ბაწიავ, წაგვიკითხე, უთხრა სახლის პატრონმა და თავიანთსა შეიუვანა ყველანი.

აღისა ამაუათ გასწორდა წელში, თვალებზე ხელი გადისვა და მოჰყვა კითხვას:

,,ქალბატონ ელისაბედ მარტინეს - ბატონ ნოტარიუს ბერტელეისაგან.

ყველამ ერთხმაო შეჰყვირეს: ნოტარიუსს, რა საქმე უნდა ჰქონდეს შენთან!

— უთუოთ გიბარებს, თქვა სახლიხ პატრონმა. — აბა, ბაწიავ, განაგრძე შენი კითხვა.

,,გთხოვთ, ქალბატონო, რაც შეიძლება მალე გამოცხადდით ჩემ კანტორაში ერთი ხაუურადღებო საქმის შესახებ.

— რა საქმე ექნება, ნეტა ვიცოდე!

— ხომ ვინმე არ გაძლევს სარჩოს, ახლა რომ მემკვიდრეობა მოგცეს ვინმემ, რა კაი საქმე იქნება — თქვა კიდევ სახლის პატრონმა.

— რაღა დროს ჩემი მემკვიდრეობის მიღებაა, ისეთ ასაკში ვარ, რომ მე სხვას უნდა მივცე მემკვიდრეობა, — უპასუხა საბედამ.

ამ დედაკაცების ლაპარაკი საბედას მაინც გულში ჩაუვარდა, მაგრამ ვერ მოეფიქრებინა, თუ ვინ მიცემდა ამას მემკვიდრეობას.

ბოლოს საბედამ ბავში აიუვანა თავის ოთახში, გაუიბორძე, დაალევინა და ჩააწვინა ქვეშაგებში. ემაწვილი არ წვებოდა, სანამ თავისი სველი ფეხსაცმელები არ მიუწეო ბუხარს და თანაც ბებიას დააბარა: არ დაგავიწყდესო, შენც უთუოთ დადეგი შენი ფეხ-საცმელები ბუხარწინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიძინე, ჰაწიავ, უსათუოთ ბუსარს მივუწეობ ჩემ ფეხსაცმელსაც, სხვა რო არა იეოს რა, სველია — გაშრება. ბავშს ჩაეძინა. საბედა მიუჯდა ცეცხლს.

— ნეტა ვიცოდე, რა უნდა ჩემთან ნოტარიუს, რისთვის მიბარებს? იქნება მართლა ვისიმე მემკვიდრეობა მერგოს. ნეტა ვისგან მომელის!

საბედამ გაიხედა ფანჯარაში. ქრისტიშობისთვეში ადრე ღამდება, მეტადრე როდესაც ნისლიანი დღეა.

— ჯერ ხუთის ნახევარი ეოფილა. ჰაწიას ძინავს, მოდი მივირბენ ნოტარიუსთან, ახლოა. შევიტეობ, რისთვის მიბარებენ.

საბედამ ჩაიცვა თბილათ და წავიდა.

თურმე საქმე მართლა მემკვიდრეობას შეეხებოდა. ვილაც შორეული ნათესავი მოჭკვდომოდა ამერიკაში და ამისთვის დაეტოვებინა მამული, რომლის შემოსავალი წელიწადში იქნებოდა ასი-ორასი ოქრო.

— მიიღეთ, ბატონო ელისაბედ, ეს ორასი ოქრო გზის ფულათ გამოუგზავნიათ, სანამ მამულს ჩაიბარებდეთ.

საბედა თავის თვალებს არ უჯერებდა, ოქროები რომ დაინახა. რამდენი ხანია არ ენახა,

საჩქაროთ დაბრუნდა სახლში. გზაზე მაინც არ დაივიწყა თავისი ალისასთვის საჩუქრის ეიდვა. შვენიერი დიდი დედოფალა უეიდა და მისთვის სახლის ავეჯეულობა და ჩაუწეო ეველა ემაწვილს ფეხსაცმელებში.

— შენ კი, ბებიაჯან, არ გერგო საჩუქარი ქრისტე ღმერთისაგან, უთხრა სიხარულით აწითლებულმა ბავშმა. შენც ხომ ფეხსაცმელები მიაწეე ბუსართან. მითხარი, საჩუქარი რა მიიღე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რასაკვირველია, მეც მივიღე საჩუქარი, უთხრა ბებიამ გაბრწყინვებული სახით, მე მერგო: სახლი, ბაღი, ძროხა, ქათმები.

— არ მესმის, ბებიაჯან, რას ამბობ?

მაშინ ბებიამ უჩვენა ოქროები და უამბო ეველაფერი.

ამას იქით ესენი გაჭირვებული აღარ იცხოვრებდენ, შაქრი—ბურებს და შაქარლამებს აღარ გაეიდიან, ბირიქით თითონ იეიდიან საჭმელათ. თავიანთვის სახლ-კარი ექნებათ, მოსვენებით და გაუჭირვებლივ იცხოვრებენ.

— აბა, ბებიაჯან, იმიტომ გეუბნებოდი, რომ ფესსაცმელი მიგეწეო ბუხართან, ქრისტე ღმერთი დაბერებული იეო საჩუქარს და აასრულა კიდეც.

ნ. თ.—წ—ხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელიწადი

ივეგებები შენს მოსვლას
იმედით საესე სტუმარო,
უმანკო და წრფელი გულით
ბრწყინვალე სახით მლიმარო!

*

წინ გეგებები, ჭაბუკო,
ტკბილ სანოვაგით, განძითა,
და ბედნიერს კვალს გილოცავ
ხელში აღვსილი ყანწითა!

*

მოგელოდები, ვითარცა
სვე-ბედის წინა-მორბედსა:
მრწამს, რა გაფანტავ წყვდიადსა,
ნათლით შემოსავ იმედსა!

*

და დამანახვებ, ჰყვაოდეს
გულში დიდი ხნით ნერგული
ძმობა, ერთობა, მშვიდობა
და სიყვარული ერთგული!

*

შემუსრე მძლავრი ხელებით.
ორგულ-მოშურნე ძმობისა;
გაწყვიტე ჯაჭვი, ბორკილი,
კავშირი ბოროტ მტრობისა!

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეგვაეროე ერთ სულათ,
ერთ აზრით, ფიქრით, გონებით:
ხელი ხელს მივცეთ, პირი-პირს,
არ დავიჩაგროთ მუნებით!..

*

დეე, იცვალოს დღეები,
შენც ერთ დროს მოხრილ ქედითა
ისეთი ტკბილათ დაჰბერდი,
ვით დღეს მიგიღეთ ქებითა!

*

„ძველ წლათ“ იქეცი, გაგვშორდი
წინა წლებივით მწუხარე
და სხვა ახალ წლით მრავალ ჟამს
წლევანდელივით გვახარე!

*

იმით, რომ ვგრძნობდეთ, ვხედავდეთ
ჩვენ აგვისრულე სურვილი;
რაც ფიქრი გვქონდა, განზრახვა,
იმის მოგვიკალ წყურვილი!..

*

და მაშინ შენი ხსენება,
წმინდა იქნება, ნათელი,
ვით ქარვა—ღვინო ამ ყანწში
და ჩიჩილაკზე სანთელი!..

თეოფ. კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ჭირი მარგებელია

(ამბავი)

ამ ორი სამი წლის წინათ ამერიკის ერთ შესანიშნავ ქალაქს ჩიკაგოში საქვეყნო გამოფენა იყო. მთელი კაცობრიობის საუკეთესო ნაწარმოები, თუ ბუნების სიმშვენიერის და სიმდიდრის ნაყოფი სულ აქ გროვდებოდა ამერიკელების მეცადინეობით ევროპიელთა გასაკვირვებლათ.

ზღაპრულათ მდიდარი და გასაოცებელის ხელოვნებით ნაგები სახლები ამშვენებდნენ თვალ-გადუწვდენელს გამოფენის მოედანს ქალაქს გარეთ, მრავალი გასაოცარი ბაღი, შადრევანი, ყვავილთა ზღვა იყო გაბნეული... ამ მშვენივრათ ნაგებ სახლთა შორის, მრავალი გასაკვირველი მანქანა მუშაობდა და მნახველთა თვალ წინ აკეთებდა იმ საოცნებო ნივთებს, რომლებითაც განთქმულია შორეული ამერიკა. ამერიკელი გაზეთები და ურიცხვი აჭრელებული განცხადებანი რამოდენიმე წლის წინათ მოუთხრობდნენ ქვეყანას, რომ გამოფენაზე პირველათ ილაპარაკებს „მაშინა-კაციო“ და ისე ილაპარაკებს, რომ ნამდვილ კაცს ნალაპარაკევში ვერ გაარჩევო, მაშინა იმღერებსო, მაშინის შემწეობით მიწას პურათ აქცევენ, მაშინის შემწეობით ათასი ვერსის მანძილზე გალობას და შენის ნაცნობის სიცილს გაგაგონებენო და მრავალი სხვ.

გემებს შეუწყვეტლივ მოჰყავდათ ევროპიელნი ამერიკაში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკის რკინის გზები ფაცი-ფუცით, მიაქანებდნენ მილიონობით მოგზაურებს გასაოცარის გამოფენის სანახავათ.

გამოფენისთვის შეგროვილ ხალხს ყოველ დღე გამოფენის მმართველნი აკკირვებდნენ და ართობდნენ სხვა-და-სხვა სანახაობით: ხან ჰმართავდენ კონცერტებს, რომელშიაც სამი ათასი დამკვრელი და ათასი მომღერალი იღებდა მონაწილეობას, ხან კავკასიელთა მოჯირითეებს აჩვენებდნენ, ხან ნადირ-ხალხს, იმათ ცეკვას, შვილდ-ისრით ბრძოლას, ხან ჩიკაგოზე ძალზე მოშორებულ ადგილებში, გამოფენის მოთავენი გაუვალ ტყეში ბუნების რომელსამე მოვლენის, ძრიელებას ან მშვენიერების საჩვენებლათ, გაყვანილ რკინის გზებით მიაქროლებდნენ მსურველებს. ეს რკინის გზები სახელდახელოთ გაყვანილნი, გამოფენის გათავებამდის, სიმკვიდრის მაგივრათ, მხოლოთ მორთულობით იყვნენ შესანიშნავი. კოპწია ხელისყუთებივით შეკრული ვაგონები ყვავილებით მორთული და მწვანე გვირგვინებით დატვირთული იყვნენ.

ერთ მშვენიერ აგვისტოს მყუდრო და გრილ დღეს დანიშნული იყო ნავებით სეირნობა დიდ ზღვასავით ვრცელ ტბაზე, რომლის კიდეები შემოსილია ახოვანის ტყით; ამ ტყის თვალ-შეუწვდენელი ნაძვები და მუხები, რომლის წვეროებიც გადაბმულია ერთმანეთზედ იმ გვარის სუნთას მგზავსის მცენარით, რომელიც მხოლოთ ამერიკის უდაბურ ტყეებში იცის და რომელიც თავის სიმაღლით და მძლავრი ღეროებით ტყეს ერთმანეთში ხლართავს და შეუვალს და საშიშარს ხდის ადამიანისათვის. ამერიკელებმა გაუვალი ტყე გასტეხეს და ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაიყვანეს, ამიტომ გზის გარშემო მცხოვრები არავინა სჩნდა, მხოლოთ აქა-იქ გზის მცველების პატარა წითელი კრამიტით დახურული ქოხები მოჩანდნენ.

ერთ ამ ქოხთაგანში, დასახლდა ამ ექვსის კვირის წინეთ ევროპიიდგან გადმოსახლებული ფრანგის სახლობა, რომელიც შესდგებოდა ცოლ-ქმრის გარდა ორი შვილისაგან, უფროსი ქალი იყო, ცხრა წლისა და უნცროსი ვაჟი ექვსის წლისა.

დიდმა გაჭირვებამ აკისრებინა ფერდინანდ მორიეს ამ გზის ყარაულის თანამდებობის დაჭერა და თუ არ დიდ გაჭირვებას რა გაბედვინებდა ადამიანს თავის ცოლშვილი ამ უდაბურს, ათასის გარეულის მხეცით და შხამიანი ქვემძრომით სავსე ტყეში დაყენებას! ბაგრამ ფერდინანდს არჩევანისთვის არ ეცალა, ეს როგორც ახლათ გადმოსახლებული ამერიკაში, პირველსავე შემთხვევას მოეკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და ამ რკინის გზის მცველის დიდი ჯამაგირით დახარბებული, ტყეში დასახლდა.

გზის მცველს, როგორც მოგეხსენებათ, დიდი საქმე არა აქვს რა: უნდა მამავალ მატარებელს მწვანე ბაირაღი აუშვიროს, თუ გზა სწორეა და წითელი, თუ დაზიანებულია. რადგანაც ამ გზაზე მატარებელი მხოლოთ სამჯერ დადიოდა კვირაში, ფერდინანდს და მის ცოლს ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ; ესენი შეუდგნენ სახლის გარშემო ტყის ჭრას, პატარა ბაღის გაშენებას. ფრანგს ძრიელ უყვარს მწვანეულობა და ფერდინანდმა და მისმა ცოლმა მალე დათესეს სალათა და წიწმატი, ლობიოსთვის და კა თოფილისათვისაც თანდათან მინდორს აფართოვებდენ. ერთ დღეს მოჭრილი ხის წვერი მოხვდა ფეხში ფერდინანდს და მოჭრილ ხესთან ერთათ დედამიწაზე დაეცა ფეხ მომტვრეული. ცოლმა დაიჭირა იმისი ალაგი გზის მცველათ, მაგრამ იმანაც დიდხანს ვერ გასტანა: ამ მხარეში გავრცელებულმა ყვითელმა ციებამ შეიპყრო იმის გვამი და ფეხ-მოტეხილ ქმარს მიუწვინა გვერდით.

— შვილო ლუიზა, ხმის კანკალით ეუბნებოდა დედა თავის პატარა გოგოს: დღეს მატარებელი თორმეტ საათზე გამოივლის და მე კი ფეხზე დადგომა არ შემიძლია, მეტი გზა არ არის შენ უნდა დაათვალიერო გზა და ბაირაღი შენ უნდა უჩვენო, გზა ხომ კარგად იცი? რამდენჯერ ამყოლიხარ და ჩამყოლახარ ჩვენ სამზღვრამდე, ვინ-ძლო არაფერში გვერთო, დროზე დაბრუნდი, ხომ იცი, გენაცვალე მატარებელს დიდი სიფრთხილე ჰმართებს, ვინ იცის, რამდენი ათასი კაცი მოჰყავს.

— კარგი, დედა, მე და გენჰრი წავალთ გზა-და-გზა და თუ ყველაფერი კარგათ არის, მოვალთ და ბაირაღს უჩვენებთ.

— ჰო, გენაცვალოს დედა, მხოლოთ ხელში რკინის წვეტიანი ჯოხი დაიჭირე. არაფერმა გიკბინოსთ, თან იმღერეთ, იხმაურეთ, რომ პირუტყვი გააფრთხოთ,, თუმცა კი შიში აღარაფრისაა, მაშინის ჭყივილმა ათის ვერსის მანძილზედაც აღარა დააყენარა.

ლუიზა და პატარა გენრი ხელი-ხელ ჩაკიდებული გაუდგნენ გზას და მათ წკრიალა სიმღერას უშველებელი ტყე ათას გნით აძლევდა ხმას. ამათი საზღვრის ბოლოს ერთ ვიწრო ხევზე მკვიდრი ხის ხიდი იყო გადებული და იმ ხიდ ქვეშ პატარა ნაკადული გარბოდა ხრიალ-ჩხრიალით, თეთრათ აქაფებული სადღაცა უფსკრულში იკარგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარაებს ძრიელ უყვარდათ ამ წყალ-ეარდნილას ჩოჩქოლის ცქერა და სიხარულით მიეშურებოდნენ.

ლუიზა და გენჰრი ჯერ კარგა შორს იყვნენ ხიდზე, როდესაც შაეი ბოლი დაინახეს და პატარა ხანს შემდეგ ალიც გამოჩნდა; ბავშებმა საჩქაროთ მიირბინეს ხიდთან და გაოცებულნი შესდგნენ: ხიდს ორივ მხრიდგან ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული და ქარის მოწყალებით საშინელის სიჩქარით ძრიელდებოდა. გენჰრიმ ტირილი მორთო, ლუიზას შიშის ზარმა გონება დაუკარგა და არ იცოდა რა ექნა, სულ ერთიან დაიბნა და უაზროთ ცეცხლ მოკიდებულ ხიდთან ტრიალებდა; მაგრამ მალე მოაგონდა დედის სიტყვები: „ვინ იცის რამდენი ათასი კაცი მოჰყავს მატარებელს, შვილო, და ვინ-ძლო არ დაიგვიანო, დიდი სიფრთხილე გვმართებსო“, ეს საჩქაროთ გამოტრიალდა სახლისკენ, წაავლო ხელი თავის პატარა ძმას და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გარბოდა.

II

მორიეს სახლობა, ერთმა ამერიკაში გადასახლებულმა ნათესავმა გამოიწვია ამ სიტყვებით: რას ჩამსხდარხართ თქვენ პატარა და ვიწრო ხეობაში და რას შეჰყურებთ ორი დღის მიწას, აი მოგვივა ორი მუჭა პური შვილების გამოსაკვებათ თუ არაო; წამოდით აქ, ამ უშველებელ ამერიკაში, სადაც ყოველიფერი ერცელი, დიდი და დაუშრობელიაო. სულ რამდენიმე წლის ნაშრომით მე შევიძინე კარგი დიდი ფერმა, მაქვს ბლომათ სახნავ-სათესი, საბოსტნე და საენახე ადგილი, მაგრამ აქ მუშა ხელი ძვირია და ამოდენა მამული შეუმუშავებელი მრჩებაო. მოდით დამეხმარეთ ნახევარს ჩემ ცხოვრებას თქვენ მოგცემთ და ვიქნებით მდიდრათ და ბედნიერათაო.

მორიეს ცოლი ანნა, როგორც ცნობის მოყვარე დედა-კაცი, უფრო მალე წახალისდა ამ იმედებით და დღე და ღამ ჩასჩიჩინებდა ფერდინანდს:—წავიდეთ ბედი ვცადოთ, ჩვენი ერთი მტკაველი ალაგი ჩვენც ძლიეს გვაჭმევს ლუკმას და ჩვენ შვილებს ხომ უფრო გაუძნელდებათ ცხოვრებაო. ცოლის ჩიჩინმა, ნათესავის შეუწყვეტელმა წერილებმა ამერიკის სიმდიდრეზე, ბოლოს დაიყოლიეს დარბაისელი ფერდინანდიც. ამან იაფად შეასყიდა თავის წილი მამული და სახლ-კარი თავის სახლი-კაცს და ერთ მშვენიერ დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ცოლ-შვილით და ცოტაოდენი ფულით გაემგზავრა გემით ამერიკისაკენ.

მთელი ორი კვირა მოუნდნენ გზას, მთელი ორი კვირის განმავლობაში თვალგადუწვდენელი ოკეანის მეტი არა დაუნახავთ რა მორიეს სახლობას, დაიღალნენ, ზღვის ავადმყოფობამ ილაჯი წაართვა და სულ თავ-ბედი აწყეველინა საცოდავებს. ბევრჯელ შეინატრეს თავისი მშვენიერი საფრანგეთი, თავიანთი სამშობლო კუთხე, მაგრამ ახლა გვიან-ღა იყო, უკან დაბრუნება შეუძლებელი გახდა. ამათ ამხნევებდათ მხოლოთ ის იმედი, რომ ამერიკაში გამდიდრდებოდნენ და ოდესმე ოქროთი დიტვირთულნი ისევ დაბრუნდებოდნენ თავის საყვარელ სამშობლოში, სად—იყიდდნენ ისევ მამულს, მაგრამ უფრო დიდს, უფრო მშვენიერს, სრულიათ საკმარისს რამდენი შვილიც უნდა ეჩუქებინა ამათთვინ უფალს.

მაგრამ რო იტვიან: „კაცი ბჭობდაო და ღმერთი იცინოდაო, სწორეთ ისე მოუვიდა მორიეს სახლობას. ამათი ნათესავი უეცრათ გადაცვლილიყო და ამათ კი არავითარი საბუთი არ ჰქონდათ რომ ესენი იმის მემკვიდრეები იყვნენ. მთავრობას წარუდგინეს ნათესავის მოწერელი წერილები, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და ამკვარათ მთელი სახლობა დარჩა ორ წყალ შუა უცნობ, თვალ გადუწვდენელ ქვეყანაში. ყველაზე საშინელი ამათთვის ენის უცოდინარობა იყო, ვერავისთვის ვერ აეხსნათ, თუ რა საქმე, რა გვარი მუშაობა შეეძლოთ და მომეტებულ დროს უსაქმოთ ატარებდნენ. გავიდა ორი სამი თვე, შეჭამეს თან მოყოლილი ფულიც და მიმავალი კი არსაიდან უღიმებდათ. სწორეთ ამ გაჭირვების დროს გაუჩნდათ ერთი თავიანთი ქვეყნელი და ეს ალაგი, რკინის გზის მცველისა, გაურიგა.

მორიე თავის ცოლ-შვილით გადასახლდა უდაბურ ტყეში და მხოლოთ იმითღა ნუგეშობდა, რომ კარგა მოზდილი ჯამაგირი ჰქონდა და ყოველ დღიურ მოთხოვნილებას იმდენს გადაარჩენდა, რომ ერთ დღეს ისევ დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, რომელიც ამ უდაბურ, გამარტოებულ ალაგში,უფრო ძვირფასი, უფრო სანატრელი და დღე-და-ღამ იმათ გონებიდან განუყრელი და დაუვიწყარი შეიქმნა.—ოხ ღმერთო, როდის გვაღირსებ ჩვენ ტურფა „ოკეანის“ ნახვას, ამოოხერით იტყოდნენ ცოლ-ქმარნი და თან მდუღარებით ევსებოდათ თვალები. ამათ სნეულობათ გადაექცათ თავის სამშობლოს სიყვარული და მისი მოგონება: მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტადრე ახლა, როდესაც ბედმა ასე დააუძლურა, ასე ძირს დასცა ორივ ცოლ-ქმარი. ამათი მდგომარეობა, ამათი წყურვილი სამშობლოს ნახვისა გაგიჟებამდი მივიდა და აი შემთხვევამ როგორ უარესათ დააბრუნა ამათი ცხოვრების ჩარხი.

ფერდინანდი და ანნა გაფაციცებით აღევნებდენ თვალს საათის ისარს; აგერ სულ რამდენიმე წამი დარჩა მატარებლის გამოვლამდე და ბავშები კი არსად იყვნენ, საშინელი ცეცხლი ტრიალებდა იმათ გულში. ათასნაირი გრძნობა ერთი მეორეზე საშინელი ჰფათრავდა იმათ გულს: შვილების განსაცდელი, მატარებლის ხიფათი, ალაგის დაკარგვა, თავზე თმებს ყალხზე უყენებდა ავათმყოფებს,

— ღმერთო, ღმერთო, ნუ აიღებ ჩვენზე ხელს, კულში ხელის ცემით და თვალზე მდუღარებით ამბობდა დედა. ბავშებს რომ რელსებზე მოასწროს!.. ოხ, ოხ, ღმერთო! შეგვიწყალე.

— ღმერთო შენ გადაარჩინე ხიფათს ამდენი ადამიანის სული! ამბობდა ფერდინანდი და თან მოწიწებით ეუბნებოდა ცოლს: —ადამიანო, იქნება როგორმე შესძლო, გაფორთხდი გარეთ, წითელი ბაირაღი აიღე და მატარებელი შეაყენე; ყოველ შემთხვევაში გაჩერება სჯობია.

ანნა რამდენჯერმე წამოჯდა ლოგინზე, მაგრამ ამაოდ.

— ჩქარა, ერთი წუთიღა აკლია თორმეტს... ჩქარა... ჭკუაზე ვიშლები... ჩქარა... ადექ. მუდარით ეუბნებოდა ფერდინანდი ცოლს, თუმცა კარგათ იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო.

ანნა ადგა, მაგრამ საშინელმა თავის ტკივილმა თვალები დაუბრმავა, სიცხისაგან ფეხი მოეკვეთა, დარატრატდა და ლოგინზე დაეცა, ამდროს მატარებლის გრიალიც მოისმა. შვილებო!... ანნამ ერთი საშინლათ შეჰკივლა და გული შემოეყარა.

ფერდინანდმა თმაში ხელები წაივლო და საშინელის პირუტყვულის ღრიალით შეჰბღავლა ზეცას: ღმერთო გადაარჩინე ხალხი... შვილები! და თმები ბღუჯა-ბღუჯა ჩამოიღო, მოტეხილი ფეხი უხერხულათ შეანძრია და ჯოჯოხეთურის ტკივილის გამო რამდენსამე წამს გონება დეეკარგა.

III

პატარა ლუიზა და გენჰრი კი გიჟებივით მორბოდნენ, მორბოდნენ და თან ღრიალებდნენ. გული მთლათ ამოუჯდათ, შუბლზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვ. თქი სდიოდათ, დაღალულობით წამ და უწუმ პატარა ბიჭი ფორჯილობდა და ძირს ეცემოდა. ლუიზა შეტევით აყენებდა და ისევ გარბოდნენ, გარბოდნენ საშინელის სისწრაფით, მაგრამ სახლი კიდევ შორს იყო, ამათ პატარა ფეხებს ღონე გამოელიათ და თანდათან სირბილს უკლეს, შესვენება აუცილებელი იყო, სუნთქვის ილაჯი აღარ ჰქონდათ. ამდროს მატარებლის გრიალიც მოისმა; ლუიზამ შეჰკივლა და თვალებზე ხელი მიიფარა: იმას ნათლათ წარმოუდგა ხევში გადავარდნილი მატარებელი... თავის ავადმყოფი დედ-მამა... და თვალთ დაუბნელდა... მაგრამ უცეფ თავში ელვასავით კეთილმა აზრმა გაურბინა პატარა გოგონას და ელვისავე სისწრაფით იძრო წითელი იუბკა, რომელიც კაბას ქვემოდამ ეცვა და ხელში რომ წვეტიანი ჯოხი ეჭირა იმაზე ააცვა და ამ ბაირაღით რაც ძალი და ღონე ჰქონდა ფეხის წვერებზე შედგა და ხელი მაღლა აიღო; სწორეთ დროც კი იყო, მატარებელი გაქანებული მირბოდა და ერთი წამი კიდევ, და პირდაღებული შავი უფსკრული შთანთქავდა აუარებელ მგზავრთ.

მემაშინემ დროზე შენიშნა წითელი ნიშანი, სისწრაფით მოუჭირა ახლათ მოგონილი ტორმოზი; მატარებელი ერთი მძლავრათ შეირყა და საჩქაროთ გაჩერდა. მოისმა ხალხის ზრიამული, დიდი და პატარა გარეთ მიეშურებოდა, რომ 'მეეტყო ამ გაჩერების მიზეზი და ერთმანეთს ჭყლეტდნენ, კიბეებიდან ცვივოდნენ, წიოდნენ და ჰკიოდნენ.

პატარა ლუიზამ მატარებელი რომ გაჩერებული დაინახა მუხლებზე დეეცა; ახლა კი ღონემ სრულიად უმტყუნა და ცრემლებით და ოფლში გაწუწული ძირს დეეშვა, იმის კაბის კალთას ეკროდა მთლათ აკანკალებული და ღონე მიხდილი პატარა გენჰრიც.

ამ მატარებელში სხვათა შორის საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი კარნოც იყო თავის უფროსი შვილით და რამდენიმე ნაცნობით; ამათ განცვიფრებას სამზღვარი არა ჰქონდა, როდესაც პატარა გოგომ ფრანგულათ აუხსნა მგზავრებს, თუ რა ხიფათი მოელოდა მატარებელს. ესენი წინ წასდგნენ და ცნობის მოყვარეობით ჰკითხავდენ პატარა გოგოს ვინაობას.

ლუიზამ დაწვრილებით უამბო თავის დედ-მამის ამბავი და თანაც აუხსნა ის მიზეზიც, რომლის მოწყალებითაც ეს და პატარა გენჰრი გახდენ გზის მცველებათ.

პრეზიდენტმა მოიხსნა გულიდან ორდენი „ლეგიონისა“ და

პატარა გოგოს ჩამოჰკიდა ამ გვარი გმირობისათვის და ზედაც ოქროთ გატენილი ქისა დაუმატა; ამის მაგალითს მიჰბაძეს ყველა მგზავრებმა, გადარჩენით აღტაცებულნი მადლობის ნიშნათ უხვათ ასაჩუქრებდნენ პატარა გოგოს; ამის წითელი იუბკა პირამდინ აივსო ოქროებით და გენჰრის ჯიბეში გაიჩხრიალა მუჭებით ჩაყრილმა ვერცხლის მანათებმა.

მატარებლის უკან გაბრუნება ამ ალაგიდან შეუძლებელი იყო და მანამ მოახლოებულ სადგურიდან სხვა მაშინებს მოაშველებდნენ, პრეზიდენტმა მოისურვა იმ ფრანგი სახლობის ნახვა, რომელიც ბედს ამ სიმორეზე გადმოეტყორცნა; მრავალი სხვა მგზავრებთაგანიც გაჰყვნენ ამას და მალე პირამდინ აივსო მორიეს ერთი ბეწვა საყარაულო ოთახი.

ფერდინანდი და ლუიზა ფერმკრთალნი, შიშით გამოშტერებულები შეჰყურებდნენ ამოდენა ხალხს და თან აღტაცებით იკრავდნენ გულში ღვთის განგებით გადარჩენილ ძვირფას შვილებს.

IV

გავიდა ერთი თვე; მშვენიერი სექტემბრის საღამო იყო. სიო არ იძროდა, ჩიზალპინის სრუტის ლურჯი წყალი კარგა გადახრილი მზის სხივებით თვალ-გადუწვდენელ სარკესავით ლაპლაპებდა და მაყურებელს რაღაც ჯადოქრულ სურათათ წინ ეშლებოდა. სრუტეში სხვა მრავალ გემთა შუა, გასამგზავრებლათ მომზადებული იდგა მშვენიერი, კოპწია „თანხმობა“. იმის მძლავრი მაშინის ორთქლი ვეშაპივით ქშუტუნებდა და მოუთმენლათ ელოდა გამგზავრებას.

დიდის ამბით ძვირფასი სტუმარი კარნო, საფრანგეთის პრეზიდენტი, და მის თანამგზავრნი, ყვავილების კონებით და ვაშას ძახილით მოაცილეს უკანასკნელ სამზღვრამდე.

აი, ყველამ თავ-თავის ალაგი დაიჭირეს, ერცელი გემის „პალუბაზე“. შინ შესვლას არავინ ჰფიქრობდა, ყველას უნდოდა დამტკბარიყო წინ გაშლილის მომხიბლავის ზღვის სურათით. აგერ პალუბის ბოლოზე, ერთათ შეკუმშულია ჩვენი ნაცნობი პატარა სახლობაც მორიესი; ესენიც აღტაცებით უყურებენ ბუნების ბრწყინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალებას და ამათ აღტაცებას ის წმინდა მაღალი გრძნობა, რომ სამშობლოს უბრუნდებიან, ერთი-ასათ აორკეცებს.

ფერდინანდი თუმცა ყავარჯნით, მაგრამ მამაცათ სდგას და გარშემო შემომსხდარ ცოლ-შვილს სიყვარულით დაჰყურებს; იმის გულში ნამდვილი კმაყოფილება და ბედნიერებაა აღგზნებული— და შეუწყვეტელ ოცნებას ეძლევა.

ამას თვალ-წინ ეხატება თავის ტურფა სამშობლო და იმის ერთ ერთ საუკეთესო კუნჭულში თავისი მომავალი მშვენიერათ გაწყობილი ფერმა „ლუიზა-ანნა“, სადაც ამის გონიერი ანნა თავის ჩვეულებრივი შრომის-მოყვარეობით განაგებს და აწარმოებს დიდს, ვრცელს სამეურნეო ხელოვნებით განწყობილს ოჯახს; სადაც ამისი გმირი, ამის გამამდიდრებელი და გამაბედნიერებელი გოგონა ლუიზა თავის წკრიალა ხმით ჰაერს ატკბობს და გენჰრი ლამაზ სკოლის მუნდირში გამოწყობილი, ფრანგული წიგნებით ხელში, სწავლის შემდეგ, ყვავილებ შუა ხარობს და ისვენებს.

ეკ. გაბაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ა მ თ ა რ ი



ზეო ამოდი, ამოდი,
შენ გელის ყველა მხარეო;
უსაქმოთ ვსხედვართ გლეხები,
გვსურს შრომა, დაგვეხმარეო.

—

ტუვეთ შეუპერიეართ ზამთარსა
ვით ჩიტს ეპერობა მახეო,
მზეო, ამოდი, გვაჩვენე
შენი ლამაზი სახეო.

—

გათეთრებულა ერთიან
სოფლების ყველა მხარეო
დანალვლებულან ბეჩავნი,
„რა დღე დაგვადგა მწარეო“.

—

არ ისმის მინდვრათ საამო
ხმა ფრინველთ ჟრიამულისა;
მის მაგიერათ ზუზუნებს
ქარი, მტანჯველი გულისა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადუმებულა ტყე-ველი,
არ ისმის ფოთოლთ შრიალი;
არც მინდვრათ გლეხთა სიმღერით
მკა, თიბვა, ნამგალთ ტრიალი.

—

კარ-ჩაკეტილში კერასა
გარშემო ჩამწკრივებიან;
ზამთრისგან შეწუხებულნი,
ხელებ გაშლილი თბებიან.

—

„მზეო, ამოდი, ამოდი,
შენ გელის ყველა მხარეო;
უსაქმოთ ვსხედვართ გლეხები,
გვსურს შრომა, დაგვეხმარეო“.

დ. ნინოწმინდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხულის სიზმრები

I

ზაფხულს ეძინა. როგორ ბედნიერი, როგორ შვენიერი იყო იგი მაშინ: მზის სხივით განათებული ჰქონდა ბადრი სახე; ღმერთო! როგორ მდიდრულათ იყო მორთულ-მოკაზმული მისი ტანი; აუარებელი გროვა ყვავილთა ეფინა გულ-მკერდზე, ათასი დიდრონი ხეები, დიდრონი მოხუცი მუხიდან დაწყებული ვარდის ბუჩქამდე, რომელზედაც ბულბულები გალობდენ: აუარებელი ფრინველთა გუნდი ამაყი არწივიდან დაწყებული ნიბლია, ნარის ჩიტამდე, ჯოგი-და-ჯოგი ირმებისა, შვლებისა, ჯეირანებისა დანავარდობდენ იმის კალთაზე; იქვე დაბობღაედა უმადური დათვი; იქვე თვალებს აელვებდა მამაცი ვეფხი. რა ცხოველს იტყვით, ან რა მწერს მოიგონებთ, რომ იმის ძუძუთა და რძით არ იკვებებოდა?! ზაფხულს კი ეძინა მშვიდი, ტკბილი ძილით. მის მკერდზე იყო გადაჭიმული გძელი თვალ-გადუწვდენელი ხნულები ყანებით დაფარული, ისინი ზღვასავით ღელავდენ; იმათ თავს დატრიალებდა ადამიანი გალესილი ნამგლით და ცელით; იქვე უთვალავი ვენახები და ზვრები ყურძნით დატვირთულნი წელში ტყდებოდენ, იზნიქებოდენ. უზარ-მაზარი მთები აყუდებულიყვენ, თავზე თოვლისა და ყინულის გვირგვინი ედგათ, ხოლო დაბლა საიალაღო ადგილები მოჩანდა, სადაც აუარებელი ცხვარი, ძროხა დაფენილიყო და ძოვდა ხშირს, მაღალს ბალახს. შორს ამწვანებული ტბებისა და მდინარეების კიდეები მოჩანდა. ტყე ფოთლითა და ნაყოფით შემოსილი კმაყოფილათ იცქირებოდა. როგორ უყვარდა ყველას ერთმანერთი: ბალახი ბალახს ეკონებოდა, ხე—ხეს, ყვავილი—ყვავილს, მწერი—მწერს, ხმელს დამპალს ყუნჭს სოკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჭსლოდა და ისე ეკეროდა გულზე, როგორც შვილი დედას. როგორ საამო სანახავი იყო მაშინ ყველა: მსუქანი, კოხტა, ლამაზი, ყველა მხიარული, თამამი, ამაყი!.. ზაფხულს კი ეძინა.

II

ეძინა ზაფხულს და საშინელს სიზმრებს ჰხედავდა, ზოგჯერ იმისი გული ჰკვნესოდა, ბაგა-ბუგი გაჰქონდა და მძინარ თვალთაგან ცრემლის ნაკადული ჩამოდიოდა, მაშინ ცაზე ელვა ჰკრთებოდა, ღრუბლები ირეოდა ერთმანეთში და გრგვინვა, ქუხილი ისმოდა, საშინელს სიზმარს ჰხედავდა ზაფხული და გული იმიტომ უკვდებოდა, საშინლათ შეძრწუნებულ-შეშინებული იყო. რასა ჰხედავდა ზაფხული? რა აღონებდა იმას? რა აშფოთებდა? იცით რასა? ზაფხული ჰხედავდა, რომ მთელი მისი სიმდიდრე, მისი ქონება იღუპებოდა; შნო და ლაზათი ეკარგებოდა, რჩებოდა ტიალ-ოხრათ. მოვარდა საშინელი მდინარე: წალეკა მთა-ბარი, გაატიალა მინდვრები; ურიცხვი კონა მისი საამაყო ყვავილებისა იტურტლებოდა ლამში და ლაფში; მთები ინგრეოდა, ხეები ტყდებოდა; მდინარენი, ზღვები, ტბები დამშრალიყვენ. მრავლათ-უმრავლესი ფრინველი თუ ნადირი ეყარა მკვდარი უპატრონოთ მთასა, თუ ბარსა; თითო-ოროლა თუ სადმე-ღა დასანსალებდა, ისინიც ფერდი-ფერდზე გაკრულნი შიმშილ-წყურვილით, რიყეთ და ქვეშათ ქმნილიყო მთელი დედამიწა, თავს დაცქეროდა მოღრუბლული ცა: თოვდა, ცივოდა, ქვა ტყვრებოდა. ოხ, ღმერთო!— თქვა ზაფხულმა: რატომ არ ეკვდები? რას ჰხედავს ამას ჩემი თვალები? მართლაც სიკვდილს ნატრულობდა ზაფხული. უჭირდა სუნთქვა. გულში ჰბორგავდა, კვნესოდა ღრმათ, თვალებიდან ცრემლი ღაპა-ღუპით გადმოდიოდა. მიშველეთო, უნდა დაეძახნა, მაგრამ სული ყელში ებჯინებოდა. ძილი შეუძლებელი იყო, უნდა გაეღვიძა, გაიღვიძა კიდევაც, თვალები გაახილა და რა ნახა? ნახა, რომ მთელი არე-მარე გადალესილა თოვლით- ეუცხოვა ტყე, ეუცხოვა მთები, ეუცხოვა ჭალა-ჭალაკები, პატარა სერები; ეუცხოვა თვისი საყვარელი ვარდის ბუჩქიც, რომელსაც დღეს ფოთოლიც აღარ შერჩენოდა, ყვავილს ვინ იტყვის. მკვდარი არავინ ჰპოვა, ყველანი ცოცხლები იყვენ. ფრინველებიც და ნადირნიც, მისი საყვარელი შვილები; ირმებს დააცქერდა და თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეუცხოვა—ფერით წითლები იქვენ და რამ გაალეგავა? ველარც მსუქნები არიან, დაღონებულან. შეჰხედა მაღალ მთას, გადაველო თვალი ჯიხვებს, იმათაც ფერი ეცვალათ. ფრინველნი გაბუზულან, აღარსად ერთი ბუზი, აღარსად ერთი მწერი! ყური დავუგდო იქნებ ბულბულის გალობა გავიგონო და მით სული დავიტკბოვო, მაგრამ აღარ იღებდა ბულბული ხმას. მდუმარებდა. ვაჰ-მეო! წარმოთქვა გულ-ამოსკვნით და თავი მიწას მოაფარა. ზედ გადაეფარა დიდი, უზარ-მაზარი სიგძე-სიგანით საბანი და მშვიდათ—ტკბილათ ეძინა. სიზმარიც მისი ტკბილი იყო. მის გონებაში ბუნება ისევ ჰყვაოდა და მწვანობდა. ყველა სულდგმული ხარობდა, მკერდი სიამოვნებით უცემდა... ზედ კი დიდი თეთრი საბანი ეხურა, დიდი, უზარ-მაზარი. ამ საბანზე ეტყობოდა ნატოტარი ირმისა და ვეფხისა და სხვა ათასი ცხოველის. ნაკლანჭარი ათასის ფრინველისა, ზედ ენავარდნათ. ზაფხულს კი მშვიდათ, ტკბილათ ეძინა.

ვაჟა-ფშაველა



ეროვნული ბიბლიოთეკა

იესო ქრისტე და ბლახაკი.

(ხალხური გადმოცემა)

(ვ. ვ. ზასოდიმსკისა)

ერთხელ იესო ქრისტე და იმისი მოწაფეები მიდიოდენ. გზაზე შეჰხვდათ ერთი დაკონკილ ტანისამოსში გახვეული მათხოვარი. ის იყო წელში მოხრილი, გამხდარი და დაუძლურებული; მზისგან დამწვარი სახე დანაოჭებული ჰქონდა; ჩაცვინული თვალები ძლივსღა გამოიყურებოდენ ხშირ და ჯაღარა წარბებ ქვეშ. ცალი სელით ჯოხზე იყო დაბჯენილი, მეორეს სამოწყალოთ უშვერდა გამვლელ-გამომვლელს.

მაცხოვარმა დალოცა ბერიკაცი და ჩაუარა.

მოციქულებს ძალიან გაუკვირდათ, რომ იესო ქრისტემ არ გაიკითხა ბლახაკი,—გაუკვირდათ, მაგრამ არა უთხრეს რა.

შუადღემ მოატანა. საშინელი სიცხის ლული დადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესო ქრისტემ და მოციქულებმა დაისვენეს ჩრდილში. მაცსოვარი ჩამოჯდა ქვაზე. მოწაფეები შემოუსხდენ გარშემო. საგზაო კალათიდან ამოიღეს ჰური და გატეხეს საჭმელათ.

იესო ქრისტე ჩაფიქრებული, თავ-ჩაღუნული შორს გაიყურებოდა. უეცრათ აიღო თავი და თქვა:

— აი, ჩვენკენ მოდის მშიერი ღატაკი!

ამ დროს მართლა მიეიდა მათთან ერთი ჯან-ღონით სავსე, სახე მსიარული ახალგაზდა კაცი. იმას ეცვა ძალიან იაფ ფასიანი, მაგრამ სუფთა ტანისამოსი. ჭაბუკმა მოწყალება თხოვა.

იესო ქრისტემ მაშინვე მიაწოდა მას ჰურის დიდი ნატეხი. ჭაბუკმა მადლობა გადუხადა და წავიდა.

მოციქულებს გაუკვირდათ და, როცა ის კაცი მოშორდა, ერთმა მათგანმა ჰკითხა იესოს:

— უფალო! გვითხარ: რათ მიეცი ჰური ამ ჯან-საღ ახალგაზდა კაცს და იმ საწყალ ბერიკაცს არა უწყალობე რა?

იესო ქრისტემ თავი დახარა და უპასუხა მოციქულებს:

— ნუ გაგიკვირდებათ, რომ ეს ჭაბუკი ასე მსიარულია! ის მხიარულია იმიტომ, რომ სულითა და გულით წმიდაა და აუშფოთებელი. თქვენ იმისმა სახემ შეგიყვანათ შეცთომაში. მაგრამ, გარწმუნებთ, ეს ჭაბუკი ჭეშმარიტათ ღატაკია. იმას სამუშაო ვეღარ უშოვნია და ორი დღე უჭმელია. მოწყალება მხოლოთ იმიტომ გვთხოვა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშიერია და არა აქვს საშუალება ჰურის ყიდვისა... იმ ბერიკაცს კი საკმოწყალო არა ეჯირვება რა. აი, მოვა დრო, თქვენ თითონ დარწმუნდებით, რომ ჩემი სიტყვა ჭეშმარიტია!

—

რამდენსამე ხანს შემდეგ იესო ქრისტე იმავე გზით მიდიოდა იერუსალიმში; თან მიდევდენ მოწაფეებიც. იმათ ბორიდან დაინახეს მოხუცი მათხოვარი, რომელიც იდგა იმავე ადგილას, სადაც უწინ ნახეს.

დგას ბერიკაცი წელში მოხრილი, ჯოხზე დაბჯენილი და ხელ-გაშვერილი. მხოლოთ ახლა ის დგას უძრავათ და ჩუმათ, თითქოს ქანდაკებაა.

როდესაც მიუახლოვდენ, დაინახეს, რომ ბერიკაცი გაქვავებულიეო. იმის წინ ეგდო ფულით სავსე ჰარკი. ჰარკს ჰირი გახსნოდა, ფული მიწაზე გადმობნეულიეო და მზეზე ბჟყვრიალებდა; ხან წითელი ფერი გადაჰკრავდა, თითქოს სისხლი შეუსხურებიათო.

მაშინ კი დარწმუნდენ მოციქულები, რომ ბერიკაცს მოწყალება არ ეჯირვებოდა, იეო მდიდარი, და თავს ღატაკათ უჩვენებდა, ცდილობდა მოეტყუებინა ღმერთიც და ხალხიც,—იეო გულქვა, მოუვასის შეუბრალებელი და ქვეყანაზე ეოველისფერზე მომეტებულათ ფულები უყვარდა... და შეიტეო ხალხმა, რომ იმ ბერიკაცის გული ბევრით უფრო ადრე გაქვავებულიეო, ვიდრე მთელი მისი სხეული ქვათ იქცეოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესო ქრისტემ ჩუმათ ჩაიარა; არც მოციქულებმა ამოიღეს ხმა.

გაქვავებული ვერცხლისმოყვარე დარჩა გზაზე. ბევრმა საუკუნემ გაიარა მას აქეთ, რაც ის იქვე დგას,—და კიდევ ბევრი ხანი იდგება...

ის იქცევა მტვრათ და გაქრება დედამიწიდან მაშინ, როდესაც ადამიანს აღარ ეყვარება ფულები მოყვასზე მომეტებულათ და შეიყვარებს თავის მოყვასს, როგორც უყვარს თავი თვისი.

ალ. ბარნოვი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოელების საჩუქარი

ტობას.

ატონი ოლივერი გადასახლდა ინგლისიდან ამერიკაში, რადგან მიიღო დიდი სამკვიდრო ერთი შორეული ნათესავისაგან, რომელიც უშვილოთ გადიცვალა.

ოლივერმა თან წაიყვანა თავისი თორმეტი წლის ქალი, კატო, რომელიც ეველას საყვარელი და მეტათ კაი უმაწვილი იყო. ეს უმაწვილი არა თუ დიასახლისობდა მამის სახლში, დედობასაც უწევდა თავის ჰატარა ორი წლის ძმას, ტობს, რომლის დაბადებაზე ამათ დაჰკარგეს თავიანთი დედა.

ესენი დასახლდენ მდინარე გუმონის ნაპირას, რომელიც ამ ასი წლის წინათ იყო გაუვლელი, შეუმუშავებელი ადგილები და სადაც ცხოვრებდენ ველური ხალხი ინდოელები.

კატო აქ ძლიერ მოიწყენდა, თუ რომ გვერდით არა ჰყოლოდა მოსიყვარულე მამა, მოსავლელი ჰატარა ძმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადია ზანგი, რომელიც ამის დედის გამდელიც იყო და ოჯახისთვის თავგაწირულიც

მამული, სადაც ესენი ცხოვრებდენ, როგორც ზემოთ ვთქვით, ძალიან მიყრუებულ ადგილას იყო და მეზობლათ ველურები ბინადრობდენ. ყოველ წამს შიშობდენ ესენი იმათ თავდასხმას. მეტადრე გადიას ისე ეშინოდა ამ ინდოელებისა, როგორც აქაური გველებისა და მორიელებისა.

მაგრამ გავიდა ექვსი თვე, რაც ესენი დასახლდენ და სრული მეუდროება სუფევდა, არავინ არ ეხებოდა ამათ მამულს. ამათაც გული დაიმშვიდეს და მოსვენებას მიეცენ. შობის წინა ღამემაც მოატანა.

ეს დღე დიდ დღესასწაულათ მიიჩნიეს თავიანთ ჩვეულებისამებრ ყველა ამ მამულში მცხოვრებლებმა. ოლივერის სახლი მორთული იყო შვენიერათ. დიდ დარბაზს შუა ადგილას დადგეს ნაძვის ხე მორთული ტკბილეულობით, სათამაშოებით და გააჩაღეს სანთლებით. სახლის პატრონს საჭმელები უხვათ მოემზადებინა.

აი, გაუწვდინეს კიდეც ერთი სათამაშო პატარა ტობს, რომელიც გადიას უჯდა კალთაში და ძილისაგან თვალები ეხუჭებოდა.

ამ დროს უცბათ სახლი განათდა და ხალხი შეკრთა.

ერთი ჯგუფი მეზობლათ მცხოვრები ველური ინდოელები შემოხვევოდა ოლივერის მამულს წივილ-კივილით, კომბლების ტრიალით და ანთებული მაშხალებით. ამ მაშხალეებს საბძლებზე და სათივეებზე ისროდენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა საკვირველია განჩდებოდა ცეცხლი და გადაბუგავდა არე-მარეს.

ინგლისელები მალე მოვიდენ გონს, იხმარეს ყოველი ძალ-ღონე და ოლივერის მეთაურობით, რომელმაც შესანიშნავი გამჭრიასობა გაშოიჩინა, ამასთანავე თოფ-იარაღის დახმარებით, მტერი დიდათ დაზიანებული უკან გაიქციეს.

მაგრამ ინგლისელების მხრითაც არა ერთი კაცი დაიღუპა, ყველა გადარჩენილები ნაღვლიანათ დაღვრემილები შეცქეროდენ ოლივერის ჭირნასულს და სახლ-კარს რომ ცეცხლი ეკიდებოდა.

ამ სამწუხარო წუთს ოლივერმა ჩაიკრა გულში თავისი ქალი და უცბათ წამოიძახა:

ტობი სადღაა?

დიდხანს ეძებდენ ბატარა ტობს, ნანგრევებში და სხვაგანაც, სულ ევლაფერი გასინჯ-გადაათვალიერეს, მაგრამ ბავში არსაით ჩნდა.

გათენდა სამწუხარო დილა; წინა დღეს ისე მხიარული ოლივერი ახლა იჯდა თავის სახლის ნატამალზე ფერმიხდილი და სახარებას კითხულობდა. მოთმინება უნდა მოეპოვა სახარების სიტყვებში. შობის წინა ღამეს ღვთის მოცემული შვილი, სწორეთ შობა ღამესვე დაკარგა.

მსახურნი ხმა ამოუღებლათ შეცქეროდენ თავიანთ მომთმენ ბატონს და გულში წუევლიდენ ქურდულათ შემოპარულ ველურებს. ოლივერის მამული ისევ ისე გაშვენიერდა. სახლ-კარი აშენდა, მუშაობა ადრინდელივით შეუწყვეტლათ გაჩაღებული იყო და შობის უბედურ ღამეს დაივიწყებდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდეც, რომ ოლივერი თავის კატოთი მუდამ გლოვაში არ ეოფილიეო და გარდა ამისა ერთ ინდოელ ტუვეს ეოველ წამს თავის თავით არ მოეგონებინა ის უბედური ღამე.

ველურებს დარჩენოდათ მკვდრებში და დაჭრილებში თავის ამხანაგი და გაშმაგებული ინგლისელები უთუოდ ცოცხალს არ დაარჩენდენ, კატო რომ არ გამოჩენოდა მფარველათ, თავის გულკეთილობით გამოესარჩლა და თავდებათ დაუდგა ამ ინდოელ.

ეს ინდოელი იეო მაღალი ტანისა, შვენიერი შესედულობისა და ეტეობოდა დიდ-კაცური ჩამომავლობა.

ჩვეულებათ გახდომოდა — ხმას არ იღებდა, არავის ელაპარაკებოდა, თითქო არაფერი არ მოუდიოდა თვალში, მხოლოთ კატოს ექცევოდა ეურადღებით.

ეტეობოდა ტუვეობა ძალიან აწუხებდა, ჩუმ-ჩუმათ ეველაფერს თვალს ადევნებდა, ცდილობდა გაეგო, რასაც გარშემო ლაპარაკობდენ და მართლაც მალე ისწავლა ინგლისური ლაპარაკი.

კატო ხშირ-ხშირათ უკითხავდა სახარებას და თავის გუნებაში ემაწვილს უნდოდა მოერჯულებინა ტუვე. ესეც თანაგრძნობით უსმენდა.

მოახლოვდა შობის დღე. ამ ოჯახისთვის მნელი მოსაგონი და შემაძრწუნებელი.

კატომ მოუხშირა სახარების კითხვას და როგორც ღვთის მოეკარე ცდილობდა გარკვევით აეხსნა ტუვისათვის, რას ნიშნავდა შობა დღე და რისთვის დღესასწაულობდენ.

— მაშ აქაური ბავშების დღესასწაული ეოფილა, შენც გისარია, ემაწვილო განა?

კატომ ნაღვლიანათ ჩაღუნა თავი და თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ის საშინელი ღამეა, მე რომ ძმა დაძეკარგა. და ცრემლები ლაპა ღუპით ჩამოუვიდა ლოყებზე... ტუვმ ჩუმათ შეცქეროდა.

— ჩიტი მიჭიკჭიკებდა ეურში მე, საბრალო ტუვეს, — თქვა ბოლოს ინდოელმა. — ნუ გეონია, რომ ჩვენში არ იციან მადლობის გადახდა. ნუ ტირი, ემაწვილო, მე შენ არ დაგივიწყებ:

მერე ამოიღო ჯიბიდან კრიალოსანი, ჩაუდვა ხელში და უთხრა.

— რამდენიც ამ კრიალოსანში მარცვალია, იმდენ დღეს შემდეგ „დიდი არწივი" (ასე იწოდებდა თავს) გადიხდის შენ ვალს.

მეორე დღეს ამაოთ ეძებდენ ტუვეს, ის გაქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ტუვის გაქცევამ ოლივერის მამულში ყველა ძალიან შეაწუხა. ყველა ელოდა, რომ ველურები ხელ-მეორეთ დაეცემოდენ, გაანადგურებდენ და უნდა ფხიზლათ ეოფილიყვენ.

დადგა შობის წინა ღამეც.

მაგრამ ამ დღეს ოლივერის მამულში აღარ დღესასწაულობდენ. თვალწინ ელანდებოდათ შარშანდელი შობის ღამე და ყველანი მწუხარეთ იყვენ. მხოლოთ ყველამ ერთათ მოიყარა თავი და როგორც ჩვეულება ჰქონდათ საზარება წაიკითხეს და თავ-თავიანთვის წავიდ-წამოვიდენ.

მეორე დღეს ვათენებისას კატომ დახედა „დიდი არწივის“ ნაჩუქარ კრიალოსანს, გადათვალა ძარცვლები და თქვა:

— აი, დღეებიც გავიდა და იმან თავისი დაპირება კი არ შეასრულა.

კატომ ჩაიცვა ტანისამოსი და ჩავიდა ქვემოთ ჰურის საჭმელ ოთახში. უცბათ მოულოდნელმა ამბავმა გამოიწვია სიხარულის კიჟინა.

თუმცა კარი და ფანჯრები დაკეტილი იყო, თუმცა დიდი სიფრთხილით იცავდენ სახლს, მაგრამ მაინც ვიღაც შეპარულიყო ოთახში და საშობაო საჩუქარი მოეტანა.

შუა ოთახში იდგა აკვანი, როგორსაც ინდოელები ხმარობდენ შიგ ღრმა ძილით ეძინა ჰატარა ტობს „როგორც იესო ქრისტეს ბავაში.

„დიდმა არწივმა“ თავისი პირობა აასრულა.

ინ. ო.—წ-ცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაყაყი

რთი ბაყაყი ტბის პირათ
იჯდა და მზეზე თბებოდა;
უეცრათ ირემს შეჰხედა,
რომელიც მისკენ მორბოდა

—

და ჰკითხა: „რა ამბავია,
რათ მორბი, სად იყავიო?“
—„მონადირენი მომდევენ,
მსურს დავაღწიო თავიო“

—

უპასუხა მან და ტყისკენ
მიჰკურცხლა გაცხარებულმა;
მოსმენის უმალ ბაყაყმაც
ისკუპა შეშინებულმა.

—

და გადავარდა შუაგულ
ტბაში, რომ დამალულიყო,
საზიზღარ მონადირეთა
ხელში არ ჩავარდნილიყო.

—

და მორთო მაღლა ყიყინი:
„ვაი ნადირთა ბრალიო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ წუთსაც არ გვასვენებენ,
სად არის სამართალიო?“

—

„ხა, ხა, ხა!.. ბრიყვო, ნუ თუ შენც
თავი ნადირი გგონია?
შენგან აბა ვის რა უნდა:
ტყავი, ხორცი, თუ ქონია?

—

„ირემს მისდევენ, ირემსა
ბაყაყს ვინ გამოგიდგება?..“
დასძახის ხიდან მასხარა
ჩხიკვი და სიცილით ჰკვდება!

დუტუ მეგრელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟირაფი

ულაგულს აფრიკაში ცხოვრებს ერთი უცნაური ცხოველი, რომელსაც არაბნი უწოდებენ ჟირაფს (არაბულათ ნიშნავს: ტურფას, ლამაზს, კეკლუცს), მეცნიერები კი ეძახიან აქ კამელეოპარდს (აქლემ ვეფხას) ორივე ეს სახელები,—როგორც არაბული, აგრეთვე ლათინური,—შეენიერათ გვიხატვენ ამ ცხოველს. მართლადაც, ერთი მხრით, ეს არის უზომოთ გულკეთილი, შეიდობიანი, წყნარი და მხთალი ცხოველი, რომელიც ცდილობს იცხოვროს კეთილათ, არამც თუ მარტო თავის გვარისა არამედ გარეშე ცხოველებთანაც. მეორე მხრით. მთელ ცხოველთა სამეფოში არ არის არც ერთი წარმომადგენელი ამათზე უმეტესი საკვირველი ტანის აგებულებისა. ჟირაფს აქვს ძრიელ გძელი კისერი, მაღალი ფეხები, რგვალი სხეული დაქანებულის ზურგით და ლამაზი თავი, შემკობილი ბრწყინვალე გონიერი თვალებით, — ასეთია საზოგადოთ გარეგანი შეხედულობა ჟირაფისა, ამ უმაღლეს ცხოველისა ყოველ ცხოველთა შორის:—სამ არშინ სიგძესთან, სამი საჟენი სიმაღლე აქვს ამას! ამ ნაირი გარეგანი შეხედულობა სრულიათ ამართლებს ამის სახელს —აქლემ ვეფხას. მაგრამ ეს კიდევ არაფერი! ჟირაფი წარმოადგენს შერეულ თვისებას არა მმრტო აქლემისას და ვეფხისას, არამედ ბევრ სხვა ცხოველებისასაც. დიაღ, იმის მსხვილი, მოყვანილი სხეული და მოგძო თავი წააგავს ირმისას, ფაროო მხარ-ბეჭი და გძელი კისერი თითქოს აქლემისაგან აუღია, დიდი მოძრავი ყურები და კუდი ხარისაგან, მსუბუქი ფეხები—ჯეირნისაგან, მოყვითალო, წაბლისფერი წინწკლებიანი ტყავი ძრიელ წააგავს ვეფხის ტყავს, ხოლო ხმა და ზნე ცხენს უგავს. რადგანაც ხვიხვინებს და წიხლებს ისვრის ისე, როგორც ცხენი. ცხადია, რომ ჟირაფს ამისათვის სრულიათ არ შეიძლება ეუწოდოთ ლამაზი, მეტადრე, როდესაც ხედავთ ეიწრო გალიაში დამწყვდეულს რომელსამე ზოოლოგიურ ბაღში. მაგრამ შეენიერ ველზე თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოში; ისა ჰჩანს ტანადი და მიმზიდველი. განსაკუთრებით შეენიერია იმის მოძრაობა, როდესაც წყნარათ მიდის. მაშინ უნებლიეთ შეიძლება შეგვიპყრას ამ ნამდვილ ინდოელთა ძველი ღმერთის ჩამომავალის სიშვენიერემ. მე არას დროს არ ვნადირობდი ქირაფზედაო, ამბობს ერთი მონადირე. ხელები არ გმორჩილდებიან თოფის ასაღებათ, როდესაც შეხედავთ მის მშვიდს და უწყინარს თვალებს, რომლებშიაც კითხულობთ ნამდვილს კაცურს გრძნობას. მხოლოთ ერთხელ დავედევნე ქირაფის ჯოგს. ერთი უშველებელი მამალი ქირაფი, როდესაც გარბოდა, მწარე ტყვიისაგან დაკოდილი, რამდენჯერმე მობრუნდა ჩემკენ და თვალის დაშტერებით შემომხედა თავის მდევნელს. იმის შაემა, დაშვებული აბრეშუბის წამწამებით თვალებმა დამწვეს თავის თითქმის კაცური გამომეტყველებით. ხვეწნა, ყვედრება და რაღაც მიუნდობლობა ბწყინავდა მის თვალებში. თითქოს უწყინარი ცხოველი მკითხავდა: რას გიშლი, რადა მკლავო. მე ვიგრძენ შებრალებაც ბ სირცხვილიც, მას აქეთ გადავწვიტე აღარ მენადირა სიამოვნების გულისათვის საყვარელ ცხოველზე.

გარდა კატისა, ქირაფს საშინი მტერი ცოტა ჰყავს, რადგანაც გრძელი და დაულალავი ფეხები ადვილათ იხსნიან ხოლმე მას ყოველგვარ მტრისაგან. ამასთანავე ქირაფს ისეთი ყურ-მახვილი სმენა აქვს, რომ მაგრე რიგათ ადვილი არ არი მტერი დაეცეს თავის მსხვერპლს უეცრათ და მოულოდნელათ. ლომებიც კი იძულებული არიან შეგროვდენ ხოლმე მთელ ჯოგათ, რომ ქირაფზე ნადირობით გაიმარჯვონ.

ამისთანა ნადირობა „უდაბნოს მეფეთა“ შემთხვევით მომიხდა მენახა ერთხელ. ეს იყო ჩრდილო-აფრიკაში. მე ვნადირობდი რამდენიმე აქაურ მკვიდრთან ერთათ ერთს შვენიერს ტყეში, ნგამის ტბის ახლო. ამ დღეს ჩვენ ვინადირეთ ძლიერ გამარჯვებულათ და ვფიქრობდით კიდეც დაბრუნებას შინ—კრიალში. მზე ჩადიოდა ყველგან სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოთ ხმელი ტოტების ლაწა—ლუწი ჩვენს ფეხებ ქვეშ არღვერდა მას. ჩვენ გამოვედით ხშირი ტყიდან მინდორზე, სადაც ალაგ-ალაგ მაღალი ქედები იყვენ. რადგანაც სამყოფი გასაველელი გზა კიდევ გვრჩებოდა კრიალამდის, ამისათვის ერთ ამ გვარს ქედზე დავისვენეთ.

როდესაც დავნაყრდი ხილითა და მოვიკალ წყლის წყურვილი იქავ მოჩქრიალე ნაკადულთან, მე მოვემზადე ცოტას ხანს წამოწოლას ერთი ქოლგის ნაირს ხის ჩრდილში ჩემის შაეის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრების მფარველობას ქვეშ; ამ დროს მოშორებულმა ღრიალმა, რომელიც გაისმა დაწყნარებულს მინდორში, როგორც ჭექა-ქუხილი, უეცრათ წამომახტუნა ფეხზე; იმ კანკალზე და ცახცახზე, რომელმაც შეიპყრა ჩემი მგზავრები, მე მივხვდი, რომ ასე მძლავრათ ღრიალებდა „უდაბნოს მეფე". ალის ფერი მზის სხივები ნებას მაძლევდენ კიდევ იმ ადგილის გასინჯვისას; მე დავავლე ხელი ჩემს განუშორებელს დურბინდს და გავხედე იმ მხარეს, საიდანაც მოისმოდა ბრდღვინვა ლომისა. სახილველმა, რომელიც მე წარმომიდგა, შემზარა ელდით, მიუხდომელობით და საკოდაობით.

მე დავინახე ბრძოლა, ანუ უკეთა ვთქვათ, სისხლის ღვრა. უშველებელი ლამაზი ჟირაფი, ეტყობოდა უზრუნველათ სხეპავდა თავის რბილი და გრძელი ენით კვინცხის ფოთოლს, როცა უეცრათ მრისხანე ბრდღვინვამ თავს ზარი დასცა საბრალო ცხოველს; გონება დაკარგული ელდისაგან, საწყალი ცხოველი მოემზადა გასაქცევათ, მაგრამ ერთი ნახტომიც ვერ მოასწრო, რომ შემოერტყენ გარშემო ათი ლომი და საშინელი ღრიალით შეუკრეს გზა. რა ნახა თავი თავის შეუბრალებელთა შუა, უბედურმა ჟირაფმა დაიწყო ამოთ გახტომ-გამოხტომა ყოველ მხრით. მისი მტერები, თითქო ლხინობდენ საბრალო სხვერპლის ზარდაცემით, ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდენ, სისხლის მღვრელს თვალებს აბრიალებდენ და მედგრათ სცემდენ კუდებით. შემდეგ, ერთხმათ ძლიერ ნახტომით დაეცენ უმწეო დავლას. საზარელი ბრჭყალები ჩაურჭვეს ჟირაფს და დახიეს მისი შვენიერი ტანსაცმელი. ლუკმა-ლუკმათ ჰგლეჯდენ საბრალო ცხოველის ხორცს მათი გაკაპასებული ფოლადი კბილები. თვალნი მტაცებელთა აღეგზნენ გამარჯვების ლხინით და მრისხანე შექცევით... მე მეგონა, რომ თითქოს იმათი კბილთა ხრჭიალი მესმოდა კიდეც.

სხვერპლი განწირულათ იცავდა თავის თავს. ჟირაფის მაგარი და მძლავრი ჩლიქები წუწუნ-წუწუნით ცვიოდენ ყოველ მხარეს და არა ერთხელ ხან ერთი და ხან მეორე მტერთაგანი სუნთქვა შეკრული პანტასავით გორავდა დედამიწაზე. მაგრამ ბრძოლა არ იყო მაინც თანასწორი. ერთ წუთს შემდეგ უბედურმა ცხოველმა საბრალოთ ჩამოკიდა კისერი... მძლავრნი სახსარნი აუკანკალდენ... კიდევ ერთი წამი,—და სიკვდილათ მიწურული ჟირაფი დაბარბაცდა მთელი ტანით და მძიმეთ დაეცა დედამიწაზე. გამარჯვებულთა „უდაბნოს მეფეთ" დაიწყეს თავის საზარელი ლხინი.

დ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ცნობები ბუნებაზე

(პოლ ბერილან)

განსხვავება ცოცხალ არსებათა და უსულო საგანთა შორის. განსხვავება ცხოველთა და მცენარეთა შორის. სამი სამეფო ბუნებისა.

—

საზრდოს საჭიროება.—დაბადება და სიკვდილი.—მოძრაობა და მგრძნობელობა როგორც ნიშანი სიცოცხლისა.—არა საჩინო ნიშნები მცენარეებისა.

ეინ გალიაში მყავს ბულბული და ფანჯარაზე დგას მაისის ვარდი. ბულბული საამურათ დაჰგალობს ტურფათ გაშლილ ვარდს. მე კი ორივეს დავხარი—ვარდსაც და ბულბულსაც. აქვე ჩემს მაგიდაზე ძევს დიდი ქვა, რომელსაც წიგნების შეკვრის დროს ეხმაროობ ხოლმე. წარმოიდგინეთ ერთ წამს, რომ მე საშინელი გულ-ქვა კაცი ვარ, ვარდიც და ბულბულიც ღვთის ანაბარათ დავტოვე. ჩემი ოთახის კარები მაგრათ გამოვკეტე და მე კი მთელი ერთი წლით შორს გავემგზავრე. აბა, ახლა, როცა მგზავრობიდან დაებრუნდი, გავაღოთ ჩემი ოთახი და ვნახოთ, რა სურათი წარმოგვიდგება თვალ-წინ. სადღა რაა? რა მოგიბარებია, რას ითხოვ! საწყალი ჩემი ბულბული... გალიაში შეეიხედე და ჩემი საამური მგალობლის მაგივრათ მისი ფრთები და ძვლები-ღა ყრია. ვარდს დავხედე, მაგრამ რა? გული მომიკვდა, თქვენ მტერს რომ იმას საქმე დამართნია,—გადაშლილ ვარდის მაგივრათ რაღაც წკირები-ღა ერჭო გამხმარ მიწაში. ახლა მკითხეთ, რა მოუვიდა გალიას, ან ქილას და მიწას, რომელშიაც ვარდი იყო დარგული და მეტადრე საკითხავია, როგორ დამიხვდა ის დიდი ქვა, რომელსაც წიგნების აკინძვის დროს ეხმაროობდი? წარმოიდგინეთ. რომ ყველა ეს საგნები დამიხვდენ მთელი და უვნებელი. მერე მაინც და მაინც რა მოხდა აქ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია მეტყვით ბულბული მოკვდა და ვარდი გახმაო. მაგრამ რათ მოკვდა ბულბული? რაღა თქმა უნდა მიპასუხებთ, იმიტომ მოკვდა, რომ ბულბულს აღარც ვაჭმევდით და აღარც ვასმევდით. ვარდიც იმ მიზეზით გაშმა, რომ აღარ ვრწყავდით. მერე ქვაა რატომ არა დაემართა-რა? რასაკვირველია, ქვას ნირიც არ შეშლია, რადგან ქვისთვის არც ჭამა იყო საჭირო და არც სმა. ქვა იმიტომ არ მოკვდა, რომ არც უცოცხლია მის დღეში და იქ, სადაც სიცოცხლე არ არის, სიკვდილიც არ იქნება.

მაშ ჩანს ყოველივე, რაც ცოცხლობს, იმითი იცნობება, რომ ჭამა-სმა არის მისთვის საჭირო. როცა ცოცხალ არსებას საჭმელ-სასმელს სრულებით მოვაკლებთ, რაღა თქმა უნდა, რამდენსამე ხანში შიმშილისაგან ტანჯვით მოკვდება.

ახლა ვიკითხოთ, რათ უნდა ცხოველს ჭამა?

აი, დააკვირდით ამ გალიაში დამწყვდეულ ჩიტს. აგერ სამი თვეა, რაც ამწყვდევია და ამ სამ თვეში ათი თავის წონა საკენკი შეჭამა, მაგრამ წონაში კი ჩვენმა ჭრელა ჩიტმა ვერ მოიმატა. მერე რა უყო ჩიტმა თავის საჭმელი?

თქვენ, რასაკვირველია, მიხვდით, რაც დაემართა საჭმელს. ჩიტმა კუჭში ჩაგზავნა, იქ მოინელა და მერე გარეთ გამოყარა. აგერ დაჰხედეთ, როგორ მოუთენთამს გალიის ფიცარი და უეჭველია დარწმუნდებით, რომ ჩიტს თავისთვის არა შეუნახავს რა, ხოლო რამდენი მისხალი ფეტვი ჩაყლაპა, იმდენივე გარეთ გამოყარა. მაგრამ ეს გარეთ გამონაყარი ფეტვს როდი-ღა ჰგავს,—აქ ხედავთ ზოგს თხელს და მაგარ ნივთიერებას და ზოგი რამეც ჩიტმა ამოსუნთქვის დროს დახარჯა.—კუჭში მიღებული და მონელებული საჭმელი, ამოსუნთქვის დროს რათ იხარჯება და რაგვარ იხარჯება, ამას შემდეგში აგიხსნით.

ახლა იქნება თქვენ გგონიათ, რომ ფეტვი მართლა და ტყუილა უბრალოთ დაიკარგა? თუ ასე იფიქრებთ, ეს შეცდომა იქნება. ჩვენს ჩიტს რომ საკენკი არ ეჭამა, მაშინ ხომ ძლიერ გახდებოდა და წონაშიაც დაიკლებდა. მართალია, ჩიტმა რაც უნდა ბევრი დაიკლოს ერთ მისხლამდე ძლივს დაიკლებს, მაგრამ, აი, ეს ერთი მისხალიც სწორეთ იმიტომ არ დაკლდა, რომ ფეტვს ჭამდა.

შეგიძლიათ, ისიც მკითხოთ: ჩიტმა რატომ არ იკმარა ერთი მისხალი ფეტვი და იმითი არ გამოიკვებაო და რათ უნდოდაო, რომ თითქმის ერთ გირვანქამდე შეჭამაო? იმასაც იფიქრებთ, რომ იმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენა ფეტვი მაშ ტყუილა უბრალოთ დახარჯულაო. აბა, მოიცადეთ ვიფიქრო, რა პასუხი მოგცეთ ამაზე, რომ უფრო ადვილათ მიხვდეთ... მაგრამ არა, მე თითონ მოგცემთ შემდეგ კითხვას: ზამთრის დასაწყისში თქვენი ფიცრული სავსე იყო რცხილის შეშით, შემდეგ, „თებერვალი რომ დადგა, ხეში წყალი ჩადგა“ და იმდენი შეშაც თქვენმა ბუხარმა შთანთქა. მერე რა? განა ამით შეიძლება ითქვას, რომ შეშა ტყუილა უბრალოთ, უსარგებლოთ დაიხარჯა? ამაზე, რალა თქმა უნდა, მეტყვით, შეშის მადლიერი უნდა ვიყოთო, რომ ოთახში მთელ ზამთარს თბილოდა და გავძელითო; გარდა ამისა, შეშა რო არ გვქონოდა, ვეღარც საჭმელს მოვიხარშავდითო. კარგი და პატიოსანი. აი, როგორც თქვენს ბუხარში შეშა დაიწვა, თქვენ სითბოთი ისარგებლეთ და თითონ შეშა კი ნაცრათ, ნახშირათ და ბოლათ გადიქცა, სწორეთ ამ გვარათვე ჩიტი რო ფეტვს კენკავდა, მისი კუჭი ბუხარივით სითბოს აჩენდა, რაც რამ ფეტვში ვარგისი იყო ჩიტის სისხლს და ხორცს გაუჯდა და ყოველივე უვარგისი კი გარეთ გამოიყრებოდა ხოლმე. თქვენგან ვისმე იქნება შემთხვევია, როდისმე დიდხანს მშიერი ყოფნა? საუბედუროთ ბევრია საწყალი, რომელიც თავის სიცოცხლეს ნახევარჯელ მშიერი ატარებს. თუ შიმშილი არ გამოგიცდიათ, ღმერთმა ნურც გამოგაცდევინოთ; სხვას დაეკითხეთ, რომელსაც შემთხვევია მშიერი ყოფნა და იმისგან შეიტყობთ, რომ როცა კაცი შიმშილს გრძნობს, დასუსტდება ხოლმე კიდეც. ისიც გამოცდილებით არის დამტკიცებული, რომ მშიერი კაცი უფრო ადრე იყინება სიცივესა და ნამქერში, ვიდრე მაძღარი. როცა კუჭი სავსეა და გაცხარებულათ საჭმლის მონელება წარმოებს, მაშინ ადამიანის ტანი ისევე ხურდება, როგორც ბუხრის კედლები. მაშასადამე მაძღარი კაცი უფრო ადვილათ აიტანს სიცივეს.

მშიერი კაცი ფეხზე ძლივს-ღა დგას და თუ იმავ დროს იძულებულიცაა იმუშაოს, მაშინ ის თავის ნამუშევარში მე წილს ნუ-ღა დამიდებს — რაც უნდა ღონიერი კაცი იყოს, შიმშილი ისე დაასუსტებს, რომ მისი ნამუშევარი კაცს აეკიდება. მაგრამ, აბა, პური აჭამეთ, მაშინვე მოტოტხლდება, მოღონიერდება, ხელ-ახლავ ძალას შეიკრეფს და რაც კაცი იყო, ისევ ის კაცი შეიქნება.

აქედან აშკარათ ჩანს, რომ საჭმელი ძალ-ღონეს და სითბოს გვაძლევს. მაშასადამე იმ ფეტვმა, რომელიც ჩვენმა ჩიტმა შეჭამა, ჩიტს ძალა მისცა და ტყუილა არ დაკარგულა. ძალა და ღონე კი ჩიტისთვის საჭირო იყო იმიტომ, რომ ეხტუნა, ეფრინა და სასმელათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგალობა—ეჭიკჭიკნა. თქვენ, უეჭველია, იმასაც მკითხავთ, საიდან და როგორ ხდება, რომ საჭმელი ყოველ ცხოველს ჰკვებავს და ძალ-ლონეს აძლევსო? ეს კითხვა, ცოტა არ იყოს, ძნელი ასახსნელია. აბა, თქვენთვის ხომ ძნელი გასაგებია, რისგან მოხდება ხოლმე, რომ როცა შეშა იწვის, სითბო ჩნდება. ყველა ამ გვარ კითხვებს შემდეგში ავხსნით, როდესაც თქვენ ცოტაოდნათ მაინც გაიცნობთ ფიზიკას, ქიმიას, მეხანიკას და სხვა ამ გვარ მეცნიერებას.

მინამდის კი ძლიერ გულითაც რომ გვინდოდეს ამ გვარ მოელენათა შეტყობა, მაინც უნდა ნისლსა და ბურუსში ვიპოტინოთ ჯერ-ჯეროობით ესეც ვიკმაროთ - ვიცით, რომ ჩვენი ჩიტისთვის საჭირო იყო ჭამა-სმა, რომ არ გამხდარიყო და ძალაც არ დაჰკარგოდა.

ამ ჩიტზე ხომ ბევრი ვიბაასეთ და ცოტა რამ სამეცნიერო ამბებიც შევიტყვეთ. აბა, ახლა ჩიტის ცხოვრებასთან ერთათ შევადაროთ ხოლმე მცენარის ცხოვრებაც და ნურც იმ ქვას დაივიწყებთ, ჩემს ოთახში მაგიდაზე რომ იდვა.

მე რომ პატარა ვიყავი, დედამ ჭერამი მაჭამა. მეც ავიღე და ჭერამის კურკა ჩვენს ბოსტანში ჩავფალი. ამ კურკიდან გაზაფხულზე პაწაწა ჭერმის ხემ მიწიდან თავი ამოყო, დაიწყო ზრდა, ტანი აიყარა, ტოტები და ფოთლები შეისხა. მე შევხაროდი, ჭერამს დაისხამს-თქვა და დედაჩემიც ტრფობით უყლიდა თავის ილიკოს ჭერამს. ერთ გაზაფხულზე ჩემი ჭერამი საამურათ აყვავდა. მერე ხილი მოისხა და როცა დამწიფდა ერთი ორათ ტკბილი მეჩვენა, რადგან ჩემი ნაჭირნახულევ-ნაამაგარი იყო. ახლა ჩემი ჭერამი ჩემზე დიდია—ვეებერთელა ხე დგას გურჯაანში. მე, რასაკვირველია, შემიძლია ჩემი ჭერამის ხილის კურკა კიდევ ჩავფლა მიწაში და ახლა გამოცდილებით ვიცი, რომ კიდევ ამოვა ახალგაზდა ჭერამი და ამ გვარათ შეიძლება მთელი ბოსტანი ჭერამის ხეებით გავავსოთ. მაგრამ სამწუხაროთ ისიც ვიცი, რომ მოვა იმისთანა დროც, როდესაც ჩემი საყვარელი და სიგიჟის დროს დარგული ჭერამი დაბერდება, აღარ აყვავდება, ტანიც გაუფუტუროვდება და, რაც უნდა, ძლიერ მოუარო, წყალი უსხა და ხელი შეუწყო, მაინც ვეღარ დავიხსნი სიკვდილისაგან ჩემს საყვარელ ჭერამს. ერთი სიტყვით ჩემი ჭერამი უნდა გახმეს და მოკვდეს. მერე ერთ შვენიერ დღესაც ჩვენი მებაღე ბარვის დროს ბარს დაუგდებს და საწყალ ჭერამის ძირებს ღობეს იქით გადაისვრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ჩემს გალიაში დაწყვდეულ ჩიტს დავხედავ ხოლმე, ჩემი ჭერმის ანბავი მომაგონდება. როგორც ჩემი ჭერამი კურკიდან ამოვიდა, სწორეთ ისე ეს ჩიტიც კვერცხიდან გამოიჩეკა. ჩემი ჩიტი ჭერ პაწაწა ბარტყი იყო, მერე წამოიზარდა და ახლა სწორეთ თავის დედის ტოლაა. მაშ ჩანს, ჩიტს საკენკი ამდენ ხანში ტყუილა უბრალოთ არ უკენკნია. აგერ უყურეთ, რა მალხაზი და მხიარულია ჩემი ჭრელა—ჩიტი—მთელ ამ ქალაქ დღეს თავის გალობით და ჭიკჭიკით გულს მიტკბობს. მაგრა რა? როგორც ჩემი ჭერამი ერთ დროს უნდა დაჭკნეს, გახმეს და მოკვდეს, აგრეთვე მოვა დრო, როდესაც აი, ეს სიცოცხლით სავსე მხიარული ჩიტი მოიბუზება, მოიწყენს და რაც უნდა ძლიერ მოუაროთ, რაც უნდა ბლომათ ფეტვი დაუყაროთ, უალერსოთ და წყალი ვასვათ, მაინც ველარას უშველით—ჩიტი აღარც საკენკს და აღარც წყალს ახლა აღარ მიეკარება; ბოლოს პატარა ქანდარიდან თვალდახუჭული თავს ჩამოჭკიდებს, ჩამოვარდება და მოკვდება.

ახლა თქვენ ხომ აშკარათ ხედავთ, რომ ჭერამსა და ჩიტს ერთი და იგივე ბედის წერა ჰქონიათ: მათი სიცოცხლე დაბადებით იწყება და სიკვდილით თავდება.

ილიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობა ქრისტესი

ერიასტანში ცხოვრებდა ერთი კაცი, მეტათ მართალი, დავით წინასწარმეტყველის მოდგმისა და შუა ხანს გადასული, რომელიც თავს ირჩენდა ხუროს ხელობით. მას ცოლი არ ჰყავდა და იყო მუდამ დღე ფიქრში გართული, რომ ცოლი შეერთო და დამტკბარიყო ცოლ-შვილის ცქერით. იმან ითხოვა ქალწული მარიამ ცოლათ, რომელიც აღმოჩნდა სული წმინდისაგან მიდგომილი. იოსებმა შეიტყო ეს ამბავი და ძალიან შეწუხდა. თუმცა არას ამსელდა, მაგრამ გულში გადაწყვიტა მარიამის გაშვება. ერთხელ მწუხარებისაგან მეტათ დაქანცულმა იოსებმა მიიძინა და ნახა სიზმარი. მას გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა: „იოსებ, ძეო დავითისაო, ნუ გეშინია, მიიყვანე შინ ცოლი

შენი მარიამ; მართალია ის მიდგომილია, მაგრამ მისგან ვინც დაიბადება, ის იქნება სული წმინდისაგან მოვლენილი. მარიამ შობს ძეს, რომელსაც უწოდებენ იესოს და ის იხსნის ერს ცოდვებისაგან". ამით ნუგეშცემულმა იოსებმა გაიღვიძა და ისე მოიქცა, როგორც ანგელოზმა უბძანა: წაიყვანა ცოლი თვისი მარიამ თავის სოფელში.

ამ დროსვე გამოვიდა ბძანება აგვისტოს კეისრისა, რომ ყოველი სოფელი და მცხოვრებნი რომის სახელმწიფოში უნდა აეწერათ სარჯის დასადებათ. ყოველ კაცს ჰქონდა ნაბძანები, რომ თავიანთ სოფლებში წასულიყვენ და იქ მოეცადნათ, სანამ მცხოვრებლების აწერა მოხდებოდა. იოსებ წავიდა და წაიყვანა თან მიდგომილი ცოლი, მარიამ, ნაზარეთიდან გალილიის ქალაქში და მივიდა ურიასტანის სოფელს ბეთლემს, საცა ცხოვრებდენ მისი ნათესავები, ჩამომავალნი დავით წინასწარმეტყველისა.

საღამო ხანი იყო, როცა ცოლ-ქმარმა მოაწიეს ბეთლემს და რადგან მრავალი ხალხი მოაწყდა ამ სოფელს, ცოლ-ქმარმა ვეღარსად იშოვნა დასადგომი ადგილი და შევიდა ერთ გამოქვაბულში, საცა საძოველი იყო და შიგ ბაგა გამართული. ამ დროს მარიამს მუცელი ეძრა და მოაწია დრომ იესო ქრისტეს შობისამ. მართლაც იშვა ძე, მარიამმა შეახვია ახალშობილი ერმა სამოსელში და ჩაწვინა ბაგაში, რომელზედაც ჰირუტეანი იყვენ დაბმულნი.

ამავე ღამეს მინდვრათ დაბინავებულს მწყემსებს გამოეცხადენ სიზმარში ანგელოზები: „გახარებთ თქვენ დიდს სიხარულს: დღეს დაიბადა თქვენი მაცხოვარი ქალაქსა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითისასა წადით ბეთლებს და იქ ნახავთ ახალ დაბადებულს ერმას, შეხვეულს და მწოლარეს ბაგაში. ამ დროს ცა გაბრწყინდა ანგელოზების სიმრავლით და მოესმათ მწყემსებს შვენიერი ხმით გალობა: ,,დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება".

მწყემსები გაკვირვებულნი ამისთანა სანახაობით წამოვარდენ მაშინვე და მიაშურეს ბეთლემს, სადაც ნახეს იესო ერმა, მწოლარე ბაგაში და თაყვანი სცეს.

ამ დროს ურიასტანში მეფობდა მეფე ირودე, რომელთანაც მოვიდენ დიდებულნი მეცნიერნი და ბრძენი ვარსკვლავთ-მრიცხველნი, რომელთაც ეწოდებოდათ მოგვნი, ასურეთის ქვეყნიდან მოსულნი, და უთხრეს მეფეს: ,,გვაჩვენეთ, სად არის ადგილი, სადაც დაიბადაო მეუფე ურიათა. გვინდა მივიდეთ და თაყვანი ვცეთო". მეფე ირودე შეწუხდა და შეეშინდა: ვაი თუ ახალდაბადებულმა მეფობა წამართვასო. იმან ჰკითხა მოგვებს: საიდან შეიტყეთ, რომ დაიბადა მეუფე ურიათაო? ,,ჩვენ ვიხილეთო — მოახსენეს მეფეს მოგვებმა — ვარსკვლავი მისი აღმოსავლეთით და მოვედით, რომ თაყვანი ვცეთო". ირودმა გაატანა მათ ხლებულები და ჩუმათ დაბარა, კარგათ შეიტყეთო, მართლა დაიბადა ვინმე ერმა, თუ მოგვები ცრუობენო. როცა მეფის მსახურნი მოგვებთან ერთათ გამოემგზავრენ, მათ გამოუჩნდათ იგივე ვარსკვლავი, რომელიც მათ წინ უძღოდა და გაჩერდა იმ ალაგის ჰირდაჰირ, სადაც იმეოფებოდა ერმა იესო. მოგვებს ძალიან გაეხარდათ იესო ერმის ჰოვნა, შევიდენ ბეთლემის გამოქვაბულში და ნახეს ერმა თავის დედის კალთაში მწოლარე. მაშინვე დავარდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირს, თაეკანი სცეს მას, მერე აიღეს თავის სიმდიდრიდან და შეწირეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური. ამას შემდეგ ისინი აღარ დაბრუნებულან იროდესთან ამბის მოსახსენებლათ და სხვა გზით დაბრუნდენ თავიანთ ქვეყანაში, რადგან იცოდენ მისი ცუდი განზრახვა, შურს იძიებდა და ერმას მოაკვლევინებდა, რომ მას ტახტი არ წაერთმია მისთვის, როცა ერმა გაიზდებოდა.

ამას შემდეგ იოსებს გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა: „ახლავე წაიყვანე მარიამ და ძე მისი ეგვიპტეს, ცოტა ხნობით იქ თავი შეაფარეთ, სანამდის მე ისევ არ გითხრათ უკან დაბრუნებაო, რადგან იროდე მეფეს განზრახვა აქვს მოძებნოს იესო ერმა და მოკლასო“.

გ. წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ა ნ დ ა ზ ე ბ ი

1. უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაესია.

2. იერუსალიმს ვირი თოფრით გაგზავნეს და ისევ თოფრით მოვიდაო.

(დავითიანიდან)

ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკუა ცოდნით მოიხმარების.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

კუპსი, კუპსი, კუპსარასა, ნადირობს და სჭამს არასა.

დაჭკრეს, შეეხტი და დავრბოდი.
გამოიცან, რას დაღონდი?

აბლი, ბაბლი, ვერცხლის ტახტი, მზით ავიღე, მთვარით დავდგი.

ყველა მიწვება-მოწვება, ჩირიკი ხეზე გაწვება.

შ ა ი რ ი

აკაკაჩია, ბაკაკაჩია გისვამს, გიჭამია, გზა გაგაჩნია.

ხალხური ლექსები

შენ ბიჭო, ანაგრეულო, ხმა შენი ჩამოდიოდა,
შენი ნამგლისა ჟღრიალი წყალს გაღმა გამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(წარმოდგენილი მ. თ. რაზიკაშვილისაგან)

ქრისტეშობის თვეშია, თოვლი მოგვიეიდა ბევრი.
ტყე სულ თოვლით დაიბარდნა, დაეკიდა თეთრი წვერი,
ძალიან წმინდა თვე არის, ქრისტე ახლა იშვა ჩვენი
გამარჯობა იანვარსა ახალ წელსაც დაესწრენი.

ანაგრამმა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

პირველს უხმობენ იმერნი, ვინც უკანონო შვილია
მეორეს ომში ხმარობენ, გრძელ წვერია, სისხლის მღვრელია.
სულ ორ ასოთი დაწერავთ ადვილათ, განა ძნელია!

აკროსტიხი

(წარმოდგენილი მისგანვე)

ზნეობით მკაცრი მოხუცებული,
აგერ ესტუმრა ჩვენსა ქვეყანას.
მინდვრებს აძინებს თეთრი ზეწარით,
თვით ყინვა, ქარით დასძახის ნანას.
აგერ გლეხ-კაცი კერას აჩაღებს:
რას ფიქრობს?..—ელის ციურ მანანას!
იმედი ქართველს კვლავ ასულდგმულებს,
არ უშინდება სასტიკსა ხანას!..

2

თავის სამშობლო სულით მაღალსა,
რომ გულით უყვარს დასაჯერია
ელფერით ხატავს ქართულ მწერლობას
რადგან გულ-წრფელათ დაუწერია.
იგი მოხუცდა, მაგრამ აქამდე,
სამშობლოს ჭირზე დაუმღერია,
თავის სამშობლოს მხარე უჭირავს,
აკურთხოს ღმერთმა მისი სახელი!
ვერ დაიტიწყებს ჩვენი ქვეყანა--
იმას ვინც არის საქმით ქართველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

თანაუგრძნობდა საქმით ქვეყანას,
გრძნობა მაღალი, განათლებული.
ემართლებოდა ზოგსა შერცხვენილს.
რომ დაცინოდა განსვენებული.
იმისგან არის ქართულ თეატრი,
საქართველოში დაუფუძნებული.
თაყვანისცემა ბრწყინვალე აჩრდილს,
აკურთხოს ღმერთმა იმისი სული!
ვარსკვლავივითა ნათობდა... გაჰქრა,
იყოს ხსენება მის კურთხეული!..

შარადი

პირველი სიტყვა აღნიშნავს კაცის უმაღლეს ნაწილსა;
მეორე მასვე დაყვება, ნიშნავს მისსავე წადილსა;
ერთათ კი არის საუნჯე უძვირფასესი ყოველისა,
მას ეძებს კაცი აკვნიდან, ის არს დიდება სოფლისა.

რებუსი

(ლექსი)

(შედგენილი მოსე თოიძისა)



ᲘᲛ (100ᲗᲘ) ᲗᲘ ᲕᲡᲘ ᲪᲛᲔᲒᲝ ᲒᲐᲯᲘ ᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲐᲕᲘᲡ (დაბადება ანუ?), ᲚᲝᲒᲘᲡ 60 1 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐ. Ე

ᲒᲐᲣᲓᲒᲔᲡ ᲚᲘᲡ

ᲖᲜᲘᲗ

(ᲡᲐᲫᲔᲑᲚᲘ) ᲡᲘᲛ (100'): ᲗᲪᲗ



ᲓᲔᲡ

ᲕᲘᲡ ᲖᲝ

(ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲒᲐᲠᲘ ᲩᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲫᲔᲑᲚᲘᲡ ᲫᲔᲑᲜᲐᲨᲘ)

ᲗᲐᲣᲮ

ᲐᲓ ᲛᲝ

ᲗᲪ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე ლი ვით ჭრ

ცვ (20') ავდეს.

№ IV გამოცანების ახსნა:

1) ქოშები. 2) კლიტე და გასაღები. 3) პურის ცომი გობში. 4) წელიწადის დრონი.

ზმა. შავთელი. მოსე.

აკროსტიხი. შემოდგომა. ნ. ბარათაშვილი.

ციფრების ამოცანა, 1) წერეთელი. 2) წელი. 3) წითელი. 4) თეთრი. 5) ერთი. 6) თითი. 7) წერილი. 8) ეთერი.

შარადა. ბურუსი.

რებუსი. რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. თუმანიშვილი-წერეთლისა